140
1971

# პიონერი · 4 · 1971





# მეზეემი ცის ქვეშ



# „ცისკრელები" არტეკში

11 585

პიონერი
4
აპრილი
1971
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, ეს ჩემს სამახსოვროდ გქონდეს! — შესთავაზა ქუთაისელმა ქეთინო მითაიშვილმა არტეკში შეძენილ მეგობარს ყველაზე ლამაზი სამკერდე ნიშანი თავის კოლექციიდან.

ყველას გეხსომებათ გასულ ზაფხულს დუშეთში სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკარი" რესპუბლიკური ფინალი რომ ჩატარდა! ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ არმიელთა თხუთმეტი რაზმი იღებდა მონაწილეობას მამაცთა ამ ხალისიან შეჯიბრებაში.

...გამარჯვებულ რაზმების მეთაურებსა და სამხედრო-სპორტული თამაშის ორგანიზატორებს, სულ 60 პიონერს, წილად ხვდა ოქტომბრის დასაწყისში საკავშირო შეკრებაზე გამგზავრებულიყო, რომელიც არტეკში მოეწყო. დიდი სიხარულით გასწიეს ქართველმა პიონერებმა ყირიმს! მათ წინ ედოთ ბანაკური ლამაზი დღეები და „ცისკრის" საკავშირო თამაში, რომელშიც გენერალი დესნიცკიც მიიღებდა მონაწილეობას!

და აი, ზღაპრული არტეკი! კერა მათი სულიერი და ფიზიკური წრთობისა...

დაუვიწყარია იქ გატარებული დღეები! ამაზე მეტყველებენ მონაწილეთა დღიურები, ჩანაწერები...

სჯობს სიტყვა თავად პიონერებს დავუთმოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოდან წარგზავნილი პიონერები არტეკში გამართულ „ცისკრის“ თამაშის მონაწილეთა ერთ ჯგუფთან.

შემოდგომაზე ჩვენი რესპუბლიკის 60 პიონერი — სამხედრო სპორტულ თამაშ „ცისკრის“ მონაწილენი ყირიმში გავფრინდით. არტეკში გულთბილად მიგვიღეს. წარმტაცია იქაური ბუნება, მაღალი მთები, მოლივლივე ზღვა.

ჩვენს რაზმეულში („ლესნაია“) თამაშ „ცისკრის“ ჩასატარებლად საფუძვლიანი მზადება დავიწყეთ. ჩამოყალიბდა მზვერავთა, მეკავშირეთა, მსროლელთა, მესანგრეთა დანაყოფები.

წინ გველოდა არტეკის რაზმეულებს შორის შეჯიბრება. თამაშის წინა დღეებში წარმატება გვისურვა „ცისკრის“ საკავშირო შტაბის უფროსმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა, საბჭოთა კავშირის გმირმა — ბაგრამიანმა.

დადგა თამაშის დღე! ნასაუზმევს საჰაერო განგაში ატყდა. ბატალიონი 4 წუთში მოეწყო ხაზზე. პოლიტხელმა გამოგვიცხადა: მტრის დესანტი გადმოსხეს და უნდა განადგურდესო. შეჯიბრება დაიწყო. ჩვენი რაზმეულის მსროლელებმა, სანიტრებმა და მზვერავებმა თავი ისახელეს, ყველაზე მეტი ქულები შეაგროვეს, მაგრამ მეყუმბარეებმა ათი წუთით ადრე გადალახეს საზღვარი და ამისათვის საჯარიმო ქულები დაგვეწერა. ამჯერად მეხუთე ადგილზე გამოვედით, მაგრამ ჩვენი რაზმეულის კარგი მომზადება გამოვლინდა დასკვნით ტურზე, სადაც პირველი ადგილი დავიკავეთ.

პირადად მე პირველი ბატალიონის პირველი ასეულის მეკავშირე ვიყავი. ეს საქმიანობა ევპატორიიდან ჩამოსულმა ჯარისკაცმა შეგვასწავლა. რადიოსადგური და სატელეფონო აპარატი „TAK 47“ ნაწილებად დაშალა, თითოეულ ნაწილს ცალკე გვიხსნიდა და გვასწავლიდა მათ დანიშნულებას. არასოდეს დამავიწყდება, ტელეფონის ყურმილი პირველად რომ ავიღე ხელში და ტელეფონოგრამის გადაცემა დავიწყე. კარგად გავიდა ხმა. ტელეფონოგრამა ზუსტად მიიღეს, მაგრამ პასუხი „ხაზის დაზიანების“ გამო დამიგვიანეს. მაშინ მე დავტრიალდი და სასწრაფოდ აღვადგინე ხაზი...

შეჯიბრებაზე არცერთი საჯარიმო ქულა არ მიმიღია. თამაშის მერე მომცეს მეკავშირის ინსტრუქტორის მოწმობა.

დამთავრდა არტეკის უკანასკნელი დღე. მოვდიოდით შინ და გვიძნელდებოდა ერთმანეთთან განშორება.

ელიზერ ჯანიბეგაშვილი,

თბილისის 84-ე სკოლა,

VII კლასის მოსწავლე.



ქართველმა პიონერებმა არა მხოლოდ გაიცნეს ვეტერანი კომკავშირელი ნიკოლოზ ბუგაი, დაუმეგობრდნენ კიდეც და მოუთმენლად ელიან ძვირფას მეგობრის ავტოგრაფს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

❋

არასოდეს დამავიწყდება არტეკში გატარებული დღეები!

მე მინდა გაგიზიაროთ ჩვენი რაზმის ის დიდი სიხარული, რომელიც განვიცადეთ არტეკის რაზმეულებს შორის გამართულ კონკურსზე, — „მწყობრი და სიმღერა“. ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ ჩვენი რაზმეულის „ლესნაიას“ „მწყობრისა და სიმღერის“ კონკურსში, სადაც პირველი ადგილი დავიკავეთ.

არტეკის კონკურსში მონაწილეობას იღებდა ექვსი საუკეთესო რაზმეული. ყველაზე ძლიერი მეტოქე რაზმეული „კიპარისნაია“ იყო.

საუბრის დროს ბანაკის უფროსმა, პატივცემულმა ევგენიმ გვაუწყა, რომ კონკურსი ჩვენს მოედანზე „კოსტროვაიაზე“ იწყობოდა და გაგვამხნევა: „თქვენი იმედი მაქვსო“.

ნასადილევს მოედნისაკენ გავეშურეთ, მთელი მოედანი მაყურებლებით იყო სავსე. ჩვენ ყველაზე ბოლოს მოგვიწია გამოსვლამ, მანამდე კი მიჩნეულ ადგილზე ვიდექით და თვალებგაფაციცებულნი შევცქეროდით მოედანზე გამოსულ მეტოქეებს. პირველად რაზმეული „პოლევაია“ გამოვიდა. ჩვენს წინ კი — „კიპარისნაია“ — მათ სხვებს აჯობეს და ქულებიც ბლომად დაიგროვეს. უდავო იყო, პირველი ადგილი მათი იქნებოდა!

და აი, დადგა ჩვენი გამოსვლის წუთიც! მწყობრი ნაბიჯით გამოვედით მოედანზე. მწვანე შარვლები, თეთრი პერანგები და სვიტრები გვეცვა. თავზე „ბუდიონოვკები“ გვეხურა. გაისმა განკარგულება: „შეჩერდი, მარცხნისაკენ, შუისაკენ სწორდი!“ ჩვენი უფროსი მამაკოვი მწყობრიდან გავიდა და ბანაკის უფროსს უპატაკა.

ტრიბუნასთან ახალი განკარგულება გაისმა: „სმენა, სწორდი მარჯვნივ!“ ჩვენ პიონერული სალმით ვუპასუხეთ, ჩავუარეთ ტრიბუნას და შემოვძახეთ სიმღერა „წითელი მეთაური“. ასე სიმღერა-სიმღერით დავტოვეთ მოედანი, უკან მოგვყვა მაყურებელთა ტაში და შეძახილები. გული ამოვარდნაზე გვქონდა. მოუთმენლად შევცქეროდით ერთმანეთს შეფასების მოლოდინში. აგერ გამოჩნდა ჩვენი ხელმძღვანელიც, გახარებული მორბოდა, გადაგვეხვია, დაგვკოცნა. 16, 9 ქულით პირველი ადგილი მოვიპოვეთ!

ამ გამარჯვებისათვის მე და ჩემი რაზმელები დაგვაჯილდოვეს დიპლომებით და სამკერდე ნიშნით — „სოლნიშკო“.

**ლევან ჭილაია,**
**თბილისის მე-9 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.**

❋

დღეს ჩვენი რაზმი მორიგე იყო. ამიტომ ზღვაზე საღამოს წავედით. ტალღები შხუილით აწყდებოდა ნაპირს.

ირგვლივ სიმშვიდე იყო. დათვის მთასაც თითქოს ეძინა, გარინდებულიყო. ნაპირზე ჩამოვსხედით. პიონერხელმძღვანელს ვთხოვეთ ეამბნა — რატომ ჰქვია ამ მთას დათვის მთა?

დიდი ხნის წინათ ყირიმში თურმე ადამიანები ნაკლებად სახლობდნენ, დათვები დათარეშობდნენ. არბევდნენ სოფლებს, ხალხს იწირავდნენ. ერთ სოფელში ერთი გოგონა შეინდეს, არ მოკლეს, თან წამოიყვანეს და პატარა ქოხი მიუჩინეს, გოგონამ პირველად ძალიან მოიწყინა, მაგრამ თანდათან შეეჩვია თავის მდგომარეობას.

გავიდა წლები. გოგონა წამოიზარდა და ლამაზი ქალიშვილი დადგა. სიმღერაც კარგი იცოდა. ჩიტუნებმა მთელ ქვეყანას მოსდეს მისი სილამაზისა და მომხიბლავი სიმღერის ამბავი. ერთხელ მის დასახსნელად მთიელთა რაზმი წამოვიდა.

მაგრამ მათ თავს დაესხნენ დათვები და ამოხოცეს, მხოლოდ ის ჭაბუკი გადარჩა, ვინც პირველმა თქვა, ქალიშვილი ვიხსნათო. იგი ჭრილობისაგან დასუსტებული ძლივს მიბობღდა ქალიშვილის ქოხამდე. ქალმა იგი განკურნა. ერთხელ ვაჟმა უთხრა, გავიქცეთო. მთიელმა ხომალდი ააგო და ორივენი ზღვაში გავიდნენ. დათვებმა ზღვაში ხომალდი რომ შენიშნეს, წყალს ხარბად დაეწაფნენ, ამოშრობა უნდოდათ. ქალიშვილმა სიმღერა დაიწყო. ყველამ მას მიაპყრო ყურთასმენა. მხოლოდ ერთი დათვი — სახელად „რუხი მთა“ განაგრძობდა წყლის სმას, მაგრამ ქალიშვილის სიმღერამ ისიც მოაჯადოვა. დათვი იქვე ჩაწვა და გაქვავდა.



**ნახვამდის არტეკო!**



ძნელია გამგზავრების მოლოდინი. იქნებ საინტერესო წიგნმა გაფანტოს ეს უჩვეულო მღელვარება!

მას შემდეგ იმ მთას აიუ-დაღს ეძახიან, რაც ქართულად დათვის მთას ნიშნავს.

22 ოქტომბერი — ყირიმი.

თამარ გამსახურდია,
თბილისის 189-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე.

❋

როგორც „ცისკრის“ თამაშის მონაწილე, ჩემს მეგობრებთან ერთად არტეკში გავემგზავრე.

პიონერულ, ბანაკურ ცხოვრებას რა სჯობს!

ერთ დღეს მასწავლებელმა გამოგვიცხადა, კვირას სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა შეჯიბრება ჩატარდებაო. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გულმოდგინედ შევუდექით „ლიმბოსა“ და სპორტული ცეკვების შესწავლას. შეჯიბრების წინ, ორი დღით ადრე, გოგონა, რომელიც სოსო კახიანთან ერთად ცეკვავდა, ავად გახდა. ჩვენმა ხელმძღვანელმა, პატივცემულმა ოლღამ იმის მაგივრად მე გამომიყვანა. სიმართლე რომ ვაღიარო, ცოტა არ იყოს, შევშინდი, რადგან ასეთ ცეკვებს პირველად ვასრულებდი. რეპეტიციებზე მოსწონდათ ჩემი და სოსოს ცეკვა.

შეჯიბრების დღეს უჩვეულოდ ღელავდნენ რაზმები. სოლოს შემსრულებლების ჯერიც დადგა. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მაგრამ მაინც მშვიდად დავიწყე ცეკვა...

მეორე დღეს რაზმეულის ხაზზე გამარჯვებულები დაასახელეს. სოლოს შემსრულებელთაგან მე და სოსო კახიანსაც პირველი ადგილი გვხვდა წილად. თავზე გვირგვინები დაგვადგეს და გულზე თეთრი ლენტები გაგვიკეთეს. ჩემსაზე ამოქარგული იყო — „ცეკვის დედოფალი“, სოსო კახიანისაზე კი — „ცეკვის მეფე“. ისედაც გახარებულები, კიდევ უფრო გაგვახარეს: ხაზზე ისიც გამოაცხადეს, რომ პირველ ადგილზე გამოსულ მოცეკვავეებს შორის მედეა უშარაული და სოსო კახიანი უფრო ლაღად ცეკვავდნენო...

დაუვიწყარია ჩემთვის ეს ძვირფასი დღეები.

მედეა უშარაული,
თბილისის 89-ე სკოლის
VI კლასის მოსწავლე.



არწივის ბუდე

# უჩვეული თავშესაფარი

ნაწყვეტი მოთხრობისა „ლენინის ცხოვრება“

**მ. პრილეჟაევა**

ფინელმა ამხანაგებმა ვლადიმერ ილიას ძე მიყრუებულ სოფელში, კარგ ადამიანებთან დააბინავეს. მაგრამ ის იქ დიდხანს არ გაჩერებულა. სოფელი რკინიგზის სადგურს ათი ვერსით იყო დაშორებული, გაზეთები ძალზე გვიან, ზოგჯერ კი სულაც არ მოდიოდა. ვლადიმერ ილიას ძე კი გინდ უგაზეთოდ ყოფილიყო, გინდ უჰაეროდ. ამხანაგებმაც მას ახალი თავშესაფარი მოუძებნეს.

იმხანად ფინეთის მთავარი ქალაქის ჰელსინგფორსის პოლიციის უფროსი, ახალგაზრდა კაცი გუსტავ სიმონის ძე როვიო იყო. ერთხელ როვიო გენერალ-გუბერნატორთან გამოიძახეს. გუბერნატორი რუსი გახლდათ. პეტროგრადის ხელისუფლებმა იგი ფინეთში წესრიგის მეთვალყურედ გაამწესეს. ფინელებს თავისი მმართველობა ჰქონდათ, მაგრამ პეტროგრადელი უფროსისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ, ვინაიდან იმ დროს ფინეთი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.

— ბატონო პოლიცმაისტერო, არის თუ არა სრული სიმშვიდე ქალაქ ჰელსინგფორსში? — მკაცრად იკითხა გენერალ-გუბერნატორმა.

გუსტავ როვიო ოცდაათი წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ, ასეთი ახალგაზრდაც კი, როგორც ყოველი ფინელი, დინჯი და წინდახედული იყო.

— ბატონო გენერალ-გუბერნატორო, ასეთ დიდ ქალაქში ხანდახან არ შეიძლება რაიმე არ მოხდეს, — მიუგო მან.

—რაიმე პოლიტიკური ხომ არა? — შუბლი შეიკრა გუბერნატორმა.

— არა, მხოლოდ წვრილმანი ქურდობა, ბატონო გენერალ-გუბერნატორო.

სარივით გაჭიმული გუბერნატორი კიდევ უფრო გაიმართა მხრებში და შიშისმომგვრელი ხმით ჩუმად თქვა:

— პეტერბურგიდან საიდუმლო ბრძანებაა მიღებული.

— გისმენთ! — მიუგო პოლიციის უფროსმა.

— იცით თუ არა, ვინ არის ლენინი? — ჰკითხა გუბერნატორმა.

როვიომ მცირე ხანს იყუჩა, გაპარსულ ნიკაპზე ხელი მოისვა, მერე უპასუხა: ვიცი, რა თქმა უნდა, ვიციო. აკი ყველა გაზეთში დაიბეჭდა, რომ დროებით მთავრობას ლენინის დაპატიმრება უნდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიუგნია მისთვისო.

— არის ეჭვი... — დაიწყო გუბერნატორმა და ფრთხილად მიმოიხედა, თუმცა გუბერნატორის კაბინეტში მხოლოდ თვითონ და როვიო იყვნენ, — არის ეჭვი, რომ ლენინი შეიძლება აქ, ჰელსინგფორსში იმალებოდეს.

როვიო დუმდა და ყურადღებით უცქერდა გუბერნატორს, ელოდა, რა იქნებაო.

— თქვენ უნდა მიიღოთ ყველაზე სასწრაფო ზომები.

— უსათუოდ, ბატონო გენერალ-გუბერნატორო!

— თუ ლენინი ხელში ჩაგივარდათ...

— თუ ლენინი ხელში ჩამივარდება, ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც საჭიროა, ბატონო გენერალ-გუბერნატორო.

— გახსოვდეთ, რომ ლენინის დაპატიმრებისათვის დიდი ჯილდოა დანიშნული, — მოწყალედ წაიქეზა გუბერნატორმა, — გაიგეთ? შეგიძლიათ წახვიდეთ. და ეცადეთ!

გუსტავ როვიომ თავი დაუკრა და გუბერნატორის კაბინეტი დატოვა. საფეთქლებზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. დიდი, კუზოკრული ცხვირსახოცით შეიმშრალა საფეთქლები. შემდეგ ჯიბე მოისინჯა დაერთგვარი შვებით ამოისუნთქა.

გუბერნატორისაგან წამოსული როვიო სამსახურში კი არ წავიდა, რკინიგზის სადგურისკენ გაემართა. საფოსტო მატარებელი ჰელსინგფორსი-პეტროგრადი მალე არ წავიდოდა, მაგრამ შემადგენლობა მზად იყო, ბაქანზე კი როვიოს მატარებლის ფოსტალიონი უცდიდა, რომელსაც გულგრილი და ნამძინარევი გამომეტყველება ჰქონდა. გეგონებოდა, ამ კაცს ქვეყანაზე არაფერი გააკვირვებსო. ორივე აუჩქარებლად გაუყვა ბაქნის კიდეს. ბაქანზე ხალხი ცოტა იყო. როგორც კი დრო იხელთეს, როვიომ ჯიბიდან პაკეტი ამოიღო და ფოსტალიონს გადასცა. ფოსტალიონმა პაკეტი თვალის დახამხამებაში ჩაიდო უბეში.

— იმავე კაცისაგან, ძველი მისამართით. — უთხრა როვიომ.

— გასაგებია. — მიუგო ფოსტალიონმა და გუსტავს სხვა პაკეტი გადასცა. გუსტავმა იგი სწრაფად დამალა. ამის შემდეგ ერთმანეთს გაშორდნენ.

მაგრამ პოლიციის უფროსმა არც ამჯერად გასწია სამსახურისკენ.

„მაქვს თუ არა უფლება სადილობის დრო ჩემთვის გამოვიყენო? — ჰკითხა როვიომ თავის თავს. — მაქვს“.

გუსტავი საბაყლო დუქნისაკენ გაემართა. იყიდა ათი კვერცხი, ასი გრამი კარაქი და ფუნთუშა.

„ახლა კი გეზი შინისაკენ“, — გასცა ბრძანება როვიომ გულში. იგი გვერდს უვლიდა მთავარ ქუჩებს და სულ მიხვეულ-მოხვეული გზით მი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

აბიჯებდა. თვალი რომ გედევნებინათ, ზოგიერთი მისი მოქმედება გაუგებარი მოგეჩვენებოდათ. მაგრამ ვინ აედევნება პოლიციის უფროსს? სწორედ მისი საქმეა — თვალყური ადევნოს იმას, რომ ქალაქში ყველაფერი წესრიგზე იყოს.

„საიდუმლო ბრძანებაა, ჰა? თქვით, გეთაყვა!“ — გაახსენდა როვიოს გუბერნატორთან ლაპარაკი, როცა ხაგნესის მოედანთან მდგარი სახლის მეხუთე სართულზე ავიდა, სადაც მას ერთოთახიანი ბინა ჰქონდა და, სადაც ახლა მაგიდას უჯდა, — რომ სცოდნოდა ეს გუბერნატორს! — მაგიდას ვლადიმერ ილიას ძე უჯდა და წერდა წიგნს — „სახელმწიფო და რევოლუცია“. ცისფერმა რვეულმაც, ციურიხული ჩანაწერებით, რაზლივის კარავიდან აქ გადმოინაცვლა და ვლადიმერ ილიას ძის წინ მაგიდაზე იდო. ვლადიმერ ილიას ძე ისე იყო მუშაობით გართული, რომ ვერც კი გაიგო როვიოს მოსვლა.

როვიომ ფრთხილად ჩაახველა. ვლადიმერ ილიას ძე წამოხტა.

— ფოსტა არის?

— ფოსტა კი არის, მაგრამ ჯერ უნდა ისადილოთ, ვლადიმერ ილიას ძევ, თქვენ ხომ დილას აქეთ უჭმელი ხართ.

— არა, ჯერ ფოსტა ვნახოთ. მოიტათ, მოიტათ.

ვლადიმერ ილიას ძე მოუთმენლობისაგან ხელების ფშვნეტას მოჰყვა, სანამ როვიო უბის ჯიბიდან პაკეტს ამოიღებდა.

— მიიღეთ თქვენის სანაცვლოდ, ვლადიმერ ილიას ძევ.

პაკეტში რამდენიმე წერილი იდო. ვლადიმერ ილიას ძემ თვალი გადაავლო ერთს, მეორეს. აი ეს კი ქიმიურია. აანთეს ლამპა. ვლადიმერ ილიას ძემ წერილი ლამპის თავზე გაათბო. სტრიქონებს შორის ასოები ამოვიდა. ვლადიმერ ილიას ძე კითხულობდა და თან დასძენდა:

— ასე, ასე, ასე! საინტერესო ახალი ამბებია.

ახალი ამბები კი ის იყო, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში ბოლშევიკებს სულ უფრო და უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ საბჭოებში. საბჭოები ბოლშევიკური, ჩვენი გახდნენ. „ხალხმა დაკარგა ბურჟუაზიული ხელისუფლების რწმენა. ხალხს სულ უფრო მეტი სწამს ჩვენი“. — იწერებოდნენ პიტერიდან.

აი რა ახალი ამბები იყო, და ვლადიმერ ილიას ძე, ხან წარბშეჭმუხვნილი, ხან სახეგანათებული ბოლთას სცემდა ოთახში, რომლის კედლებთან მწვანე ხავერდგადაკრული ავეჯი ჩამწკრივებულიყო. ღიპიან კომოდს მაღალი სარკე ამშვენებდა, კუთხეში კი პატარა წიგნის კარადა მიყუჟულიყო.

პოლიცმაისტერმა გაიხადა სადარბაზო ფორმა, რომელსაც, ჩვეულებრივ, გუბერნატორთან წასვლისას იცვამდა ხოლმე, სახელოები დაიკაპიწა და სამზარეულოში ერბოკვერცხის მომზადებას შეუდგა.

უცნაურია მაინც: რატომ იყო ეს პოლიცმაისტერი ლენინთან და არა გენერალ-გუბერნატორთან!

იმიტომ იყო ლენინთან, რომ წარმოშობით პროლეტარულ ოჯახს ეკუთვნოდა, ხარატად მუშაობდა და თვრამეტი წლისა ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა. მეფის დამხობის შემდეგ მუშებმა როვიო ჰელსინგფორსის მილიციის უფროსად აირჩიეს, მის თანამდებობას ძველებურად პოლიცმაისტერი ერქვა. ასე უწოდებდა გუსტავს გენერალ-გუბერნატორი და ბევრი სხვაც, ვისაც ახალ დროებასთან შეჩვევა უჭირდა.

ერბოკვერცხი რომ მოამზადა, როვიო კვლავ სადარბაზო ფორმაში გამოეწყო და ვლადიმერ ილიას ძე სუფრასთან მიიწვია.

ახლახან მიღებული ამბების წყალობით ვლადიმერ ილიას ძე ჩინებულ გუნებაზე იყო. მალე დაბრუნდება რუსეთში! ბოლშევიკების პარტია მუშათა კლასს ააჯანყებს. მუშები დაამხობენ დროებით მთავრობას. დამყარდება მუშათა ხელისუფლება. ამას წერდა ლენინი წერილებში, რომლებსაც საიდუმლოდ გზავნიდა პეტროგრადში, ამას წერდა თავის წიგნშიც.

როვიო კი ერბოკვერცხს შეექცეოდა, თან გენერალ-გუბერნატორის ამბავს ჰყვებოდა. ვლადიმერ ილიას ძემ მოუსმინა და თვალები ეშმაკურად მოჭუტა.

— ხდება ცხოვრებაში შეუსაბამო რამეები: კაცი გენერალ-გუბერნატორთან დადის მოხსენებით, თვითონ კი ვის იღებს შინ?

— როგორ თუ ვის? — მშვიდად შეესიტყვა როვიო, — პატივცემულ ფინელ პასტორს.

ოჰ, რა იხარხარა ვლადიმერ ილიას ძემ! იგი მართლაც პასტორის სახით ჩამოვიდა ჰელსინგფორსში. სოფელში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე კარავიდან გადმოსახლდა, ფინელმა ამხანაგებმა მოხალისე მსახიობები გამოგზავნეს. მსახიობები მუშები იყვნენ, სოციალ-დემოკრატები. ჰო, რა მარჯვედ გაუკეთეს მათ გრიმი ლენინს! ქალაქიდან ჩამოიტანეს პასტორის გრძელი სერთუკი, მაღალი შლაპა, შავლენტიანი, როგორც წესია. მიაწებეს დაფანჩული წარბები, დაახურეს პარიკი, მორთეს-მოკაზმეს... ღვთისმოშიში ფინელები ვლადიმერ ილიას ძესთან შეხვედრისას თავს მდაბლად ხრიდნენ. ასე ჩამოვიდა იგი ჰელსინგფორსში. ახლა კი მალე ახალ პარიკზე უნდა იზრუნოს.

დიახ, მალე უნდა იზრუნოს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს გუსტავ როვიომ ვლადიმერ ილიას ძე დალაქთან მიიყვანა. დალაქი პეტერბურგელი იყო, ჩია, მაიმუნივით ცქვიტი. თეატრის დალაქი ყოფილიყო და დედაქალაქში ბევრ თავადსა და გრაფს იცნობდა. თავადებსა და გრაფებს უნდოდათ მოხდენილი კავალრები ყოფილიყვნენ. დალაქი ყველას ახალგაზრდულ იერს აძლევდა. წვერს უღებავდა, პარიკს უკეთებდა.

— თქვენ უპარიკოდაც ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ, — დამამშვიდებელი კილოთი უთხრა ვლადიმერ ილიას ძეს დალაქმა.

— ჰოდა, მე მოხუცი მინდა ვიყო, — მიუგო ვლადიმერ ილიას-ძემ.

— კი მაგრამ, რატომ?! — განცვიფრდა დალაქი და მოკლე, დანაოჭებული ხელები ერთმანეთს შემოჰკრა.

— რაღაც უფრო დარბაისლურია, შთამაგონებელი! — უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ. — გამხადეთ ჭაღარა კაცი, ასე, სამოცი წლისა.

— რაო, სამოცისა? ჭაღარა? არასოდეს!

— რატომ?

— როგორ, საკმაოდ ახალგაზრდა კაცი უდროოდ მოხუცად ვაქციო? არაფრის გულისათვის! — ცხარობდა ჩია დალაქი და ხელებს იქნევდა. — ჩემი მოვალეობაა ადამიანებს ახალგაზრდობა დავუბრუნო...

— კეთილშობილური მოვალეობაა, მაგრამ ჩემთვის გამონაკლისი გააკეთეთ, — თავისას არ იშლიდა მომღიმარე ვლადიმერ ილიას ძე.

დალაქი ოხრავდა და ოხრავდა. ვლადიმერ ილიას ძე მას სიცილით არწმუნებდა, დამიჯერეთ, რასაც გეუბნებითო, გუსტავ როვიო კი ფიქრობდა: „კიდევ დიდხანს უნდა იცვალოს ვლადიმერ ილიას ძემ პარიკები და ტანისამოსი? კიდევ დიდხანს მოუწევს ხეტიალი?“

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი.



# ოთხასმეცხრე კვადრატი

ფანტასტიკური მოთხრობა


**როდამ ჩაჩანიძე**


კადილა გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი მინის იქით გამოჩნდა. აპარატი აღარ ჰქონდა პირთან მიმაგრებული. იღიმებოდა და თეთრი და სწორი კბილები უჩანდა. მინას რაღაც სიგარისებური მანქანა მოადგა. მანქანის საჭესთან კაცი იჯდა.

კადილა მანქანასთან მივიდა, კარი გამოაღო და შიგ შევიდა. მანქანა დაიძრა.

ნუგზარი დივანზე ჩამოჯდა. ხელში ისევ ის სქელი წიგნი ეჭირა.

— ყველაფერი ეს მართლაც ზღაპარს ჰგავს, — თქვა მან.

— რაც გინდა, ისა თქვი და, ტყვეები კი ვართ, — ჩაიბუზღუნა გოგიმ.

— თუ ვიზიტის დასაწყისით ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც ცუდი განზრახვა არ უნდა ჰქონდეთ. — თქვა ნუგზარმა.

— იქნებ ტყვეობის განმავლობაში ამიტთა ენის შესწავლაც მოგვესწრო, ლექსიკონი ხომ გვისახსოვრა. დიდი შეღავათია, მე და ჩემმა ღმერთმა! — ჩაიქილიკა ვალერიმ, დივანზე წამოწვა და ფეხები უცნაურ ოთხკუთხა მუთაქაზე შემოაწყო.

შუქი ჩაქრა, ჩაბნელდა მინის კედელიც.

— ნეტავ რაღას გვიპირებენ? — იკითხა გოგიმ.

— ალბათ გვირჩევენ, ტყუილად ლაყბობას ის გიჯობთ, დაისვენოთო. — თქვა ნუგზარმა და დივანზე გადაწვა, ფიქრები სკასავით აეშალა. რა ხდება? ნუთუ დამთავრდა ყოველივე, დამთავრდა ფათერაკებით სავსე ცისფერი გზები, მოგზაურობები, ოკეანის ტალღებში ნავარდი? ნუთუ ვერასოდეს ვეღარ იხილავს ხმელეთისეულ ლამაზ გათენებას? არა, ეს შეუძლებელია!

სხვებიც დივანზე მიწვნენ. ოთხივე დივანი ძალზე მოხერხებული და რბილი იყო. ფიქრები მოზვავდნენ... მერე ამ ფიქრებს ბურუსი გადაეფარა, სიჩუმემ დაისადგურა.

...შუქი აინთო. ვალერი შეკრთა, თვალები მოიფშვნიტა და წამოჯდა. ნუგზარმაც რომ გაიღვიძა, კართან უკვე კადილა იდგა.

კადილას ახლა ძალზე ბრჭყვიალა წითელი ქსოვილის მოკლე შარვალი ეცვა...

— ხომ არ შეგაწუხეთ, სტუმრებო? — იკითხა მან. — უკვე ოცი წუთია გელოდებით.

— თქვენ ითვლით დროს? — ჰკითხა ნუგზარმა და ქალიშვილს სახეში მიაშტერდა.

— რასაკვირველია, კალენდარიც გვაქვს. ჩვენი ანგარიშით ახლა ცამეტი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი წელია. წელთაღრიცხვას ვიწყებთ დიდი წარღვნიდან, როცა ხმელეთის დიდი ნაწილი წყალმა გადალეკა. მაშინ ამიტების წინაპრები ოკეანის ღრმა უფსკრულებში ცხოვრობდნენ. ახლა წაგიყვანთ ერთ პატარა ექსპერიმენტულ ქალაქში. მანამდე კი ვივახშმოთ.

— კარგი აზრია! — ერთხმად თქვეს ტყვეებმა.

— მაშ მიბრძანდით გვერდითა ოთახში, ხელ-პირი დაიბანეთ, იქიდან კი ღია კარით პატარა დარბაზში გაბრძანდით, სუფრა გაშლილი დაგხვდებათ.

ნუგზარი წინ წავიდა. პატარა ოთახში, ორ პატარა ვარცლში კრიალა წყალი მოჩუხჩუხებდა. ნუგზარმა ვარცლში ხელი ჩაჰყო და წყალი სახეზე შეისხა.

— ფუჰ, მარილიანია! ნეტავ ეს წყალი უნდა გვასვან?

იმწამსვე კადილას ხმა გაისმა:

—მეორე ვარცლშია უმარილო წყალი. იგი წყალქვეშა წყაროს წყალია. აბა, გასინჯეთ, არა მგონია თქვენ წყალზე ნაკლები იყოს!

— მართლაც დიდებული წყალია! — ჩაილაპარაკა ვალერიმ. იგი უკვე მეორე ვარცლთან იდგა და ხელ-პირს იბანდა.

დარბაზში სუფრა გაეშალათ. მაგიდაზე ოთხი შემწვარი შავი კარასი და მწვანილი იდო. თეთრი სითხით სავსე ოთხი მოზრდილი ჭიქაც დაედგათ.

— შავ კარასს სიამოვნებით გეახლებით. — თქვა გოგიმ და მთლიანად ააცალა მთელი მხარე მოზრდილ კარასს.

— ბიჭოს, აქ პურიც არის! — შესძახა ვალერიმ.

— აბა, რა გეგონათ! პურს მეტად ნაყოფიერი მცენარე გვაძლევს. ამ მცენარეს თქვენებურად ქლორა ჰქვია. — კვლავ გაისმა კადილას ხმა.

ნუგზარმა თეთრი სითხით სავსე ჭიქა აიღო, მოსვა, მერე ბიჭებს შეხედა და ძალზე ხმადაბლა თქვა:

— ბიჭებო, ასეთი მსუყე რძე მხოლოდ ვეშაპს აქვს.

ვალერიმაც მოსვა რძე და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. მერე მანაც ჩურჩულით იკითხა:

— ნეტავ ვეშაპის ნახირი ხომ არა ჰყავთ? ანდა ამიტელი დედაკაცები როგორ წველიან ოკეანის ამ გიგანტებს. მექანიზაცია თუ აქვთ მაინც?

— ვეშაპებს მართლაც მანქანა წველის. თითოეული დედავეშაპიდან მხოლოდ და მხოლოდ ტონანახევარ რძეს ვწველით, დანარჩენს მის პაწიას ვუტოვებთ. მოგეხსენებათ, ვეშაპის რძეში 75 პროცენტი ცხიმია. თქვენებური ძროხის რძეში კი მხოლოდ 6-7 პროცენტი. მომყევით. თქვენ გამტარი ოთახიდან პირდაპირ შეხვალთ სპეციალურ მანქანაში. იქ ჟანგბადი საკმარისად არის. თქვენთვის ჟანგბადიანი ბალიშებიც გვაქვს, მაგრამ ახლა არ დაგჭირდებათ.

ქალიშვილმა კედელს ხელი შეახო. კედელში პატარა კარი გაიხსნა და ტრიუმისმაგვარი რამ გამოჩნდა.

ნუგზარი პირველი გავიდა. იგი მიხვდა, რომ ამ ვიწრო გასასვლელიდან პირდაპირ მანქანაში შეაბიჯა. მარცხნივ, გამჭვირვალე მინიდან მწვანე ველი ჩანდა. პირდაპირ, მინის იქით კი ვიღაც კაცი იჯდა საჭესთან. ნუგზარი მხოლოდ მის ზურგსა და თავს ხედავდა. როცა მანქანაში ყველანი ჩასხდნენ, მინის ლუკი დაიხურა. იმავე წუთს მძღოლის გვერდით კადილაც გამოჩნდა. პატარა აპარატი აღარ ეკეთა ტუჩებზე. პირს ფართოდ აღებდა, წყალს ისრუტავდა და მერე ცხვირიდან პატარ-პატარა ბუშტებად უშვებდა.

ნუგზარმა დრო დაინიშნა.

მანქანა შენობას მოსწყდა. ერთი უცნაურად დაითუხთუხა და ველს ზემოდან გადაუქროლა. შორს, ძალიან შორს კი რაღაც მკრთალი შუქი ჩანდა. გეგონე-

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 3.

ბოდათ, გიგანტური პროჟექტორის უკანასკნელი სხივები აღწევს მანქანებამდეო.

ველი მალე გათავდა. მანქანა ტყეში გაჭრილ ფართო ტრასაზე გავიდა. ტრასიდან მძლავრი შუქი იჭრებოდა. საოცარი ის იყო, რომ შუქი პირდაპირ ოკეანის გრუნტიდან ერთ მთლიან ფართო ზოლად ამოდიოდა ტრასის მთელ სიგრძეზე.

ნუგზარმა ველარ მოითმინა, ხელი მინას მიარტყა. კადილა მაშინვე შემობრუნდა. პირთან პატარა აპარატი მიიტანა:

— ხომ არაფერი გნებავთ?

— თქვენ ელექტროენერგია გაქვთ? — ჰკითხა ნუგზარმა.

— რასაკვირველია. ოღონდ ჩვენი სადგურები მძლავრი წყალქვეშა დინებების ბაზაზე მუშაობენ. მაშუქები პირდაპირ გრუნტის ქვემოთ არის მოთავსებული.

ერთბაშად მძლავრი შხუილი გაისმა. ნუგზარმა იგრძნო, რომ მანქანის თავზე რაღაცამ გადაიქროლა. სულ მალე მათ წინ სიგარისმაგვარი მანქანა გამოჩნდა, იგი მძლავრად მიჰქროდა წინ და სწორსა და გრძელ თეთრ ზოლს ტოვებდა. მაღალ ტყეში გაჭრილ გზაზე იგი ისე ჩანდა, გეგონებოდათ ფართო და უსასრულო მილში მიდისო.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გადაიქროლა ასეთმა მანქანამ, მერე კიდევ და კიდევ.

ნუგზარმა ისევ მიარტყა მინას ხელი და კადილამაც აიღო პატარა აპარატი.

— ამ გზაზე ცალმხრივი მოძრაობაა?

— დიახ. ვინც უფრო ჩქარა მიდის, ის უფრო ზემოთ მიცურავს. ყოველი სიჩქარისათვის განსაზღვრულია მოძრაობის თავისი სიმაღლე. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენთან ძალიან იშვიათია კატასტროფა.

მარჯვნივ დაბალი შენობა გამოჩნდა. გეგონებოდათ, შავი მარჯნისგან არისო ნაძერწი, მაგრამ, ახლოს რომ გაუარეს, ეს შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდა.

მანქანა ახლა თითქმის ტრასის ზედაპირამდე დაეშვა, სიჩქარესაც უკლო. ზედ შენობასთან მარცხნივ შებრუნდა. პირდაპირ გრძელი შენობა ჩანდა. მანქანა სწორედ ამ შენობისაკენ მიდიოდა. ახლა უკვე აღარ ჩანდა მაღალი ხეები, მხოლოდ მწვანე წყალმცენარეებით დაფარული, სწორი ველი გადაჭიმულიყო.

მანქანა კედელს მიადგა. კადილა მაშინვე გავიდა კაბინიდან. იმავდროს ლუკიც გაიხსნა და ტყვეები ფართო ოთახში შევიდნენ. კადილა უკვე იქ იდგა.

— აქ რამდენიმე ოთახი იქნება თქვენ განკარგულებაში. ეს ოპერატიული ოთახია. აქედან სასადილოში გავდივართ, იქიდან — დერეფანში, დერეფნის მარცხნივ ტუალეტია, მარჯვნივ — თქვენი საძინებელი. საძინებლის გვერდით კი გასართობი ოთახია. ახლა გვიან არის და საძინებელში წაგიყვანთ, მოისვენეთ.

კადილა წინ გაუძღვა მათ.

საძინებელში ოთხი ხის საწოლი იდგა. ვალერიმ ხელით მოსინჯა ლეიბი. კადილამ გაიღიმა.

— ნუ წუხხართ, რბილია. ჩვენ ლეიბს ზღვის ფაფუკი ბალახისაგან ვამზადებთ. ქსოვილიც ელასტიკურია. ახლა კი თქვენი სახელები მითხარით.

— მე ვალერი მქვია. — თქვა ბასილაიამ. — ამას — გოგი, იმას — ანდრო.

— მე კი ნუგზარი. — რონდელმა თავი ოდნავ დახარა ქალიშვილის წინ.

— სასიამოვნოა. აქაურობის დათვალიერებას თუ მოისურვებთ, თითი შეახეთ ამ თეთრ ღილაკს. თქვენი საძინებლის ერთი კედელი ოკეანესაგან გყოფთ, კედელი გაიხსნება და თქვენსა და ოკეანეს შორის მხოლოდ თხელი მინა დარჩება. სინათლეს გამორთავთ აი ამ ღილაკით, მხოლოთ თითი შეახეთ. აქვეა სალაპარაკო აპარატი, თქვენი ტელეფონისმაგვარი. აიღეთ ეს სალაპარაკო, ქალი გიპასუხებთ. მან ქართული მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის. ეს სრულიად საკმარისია, რომ ჩემთან შეგაერთოთ. ძილი ნებისა!

კადილა გავიდა. ნუგზარმა მაშინვე თითი შეახო თეთრ ღილაკს. კედელი ნელი შრიალით გაიხსნა. გამოჩნდა მთლად გაჩახჩახებული ველი, პირდაპირ კი — ის დაბალი შენობა.

ნუგზარმა წყალქვეშელის ყვითელი, უხეში ხალათი გაიძრო, შარვალიც გაიხადა, ფეხსაცმელიც და სალაპარაკო აპარატთან რომ საწოლი იდგა, იქ დაწვა. მის გვერდით საწოლში ანდრო მოკალათდა. ვალერი და გოგი კი მინის კედელთან დაწვნენ.

— დავიძინოთ? — იკითხა გოგიმ.

— მგონი არ იქნება ურიგო, ძალიან დავიღალე, — თქვა ანდრომ.

— მეც დავიღალე, — განაცხადა ნუგზარმა.

ვალერიმ თავი წამოსწია.

— მე კი რატომღაც არ მეძინება. თქვენ დაიძინეთ, შუქს გამოვრთავ.

ვალერი წამოდგა და ჩამრთველს თითი შეახო.

შუქი ჩაქრა. ნუგზარს მაშინვე ჩაეძინა, ცოტა ხნის შემდეგ კი მას ბასილაია მთელი ძალით ანჯღრევდა.

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, რაღაც საოცრება ხდება.

ნუგზარი წამოვარდა. გაოგნებულმა თვალები მოიფშვნიტა.

— რა მოხდა?

— მინიდან ვაკვირდებოდი: თითქმის ყოველ ხუთ-შვიდ წუთში ჩვენს წინ ემვებიან რაღაც მოზრდილი ცხოველები. ყოველ მათგანს თავზე პატარა აპარატი აქვს დამაგრებული. ისინი იმ სახლში შედიან და დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ უკანვე ბრუნდებიან. თუ არა ვცდები, ეს უცნაური ცხოველები დელფინები უნდა იყოს.

ოთხივენი მინასთან დადგნენ. მართლაც, სულ მალე იმ დაბალი შენობის ახლოს მსხვილი, იხვნისკარტა ცხოველი გამოჩნდა. მას თავზე რაღაც აპარატი ედგა.

— დელფინია! — შესძახა ნუგზარმა.

დელფინი პირდაპირ შენობისაკენ მიცურავდა. იგი ნელა მიადგა შენობას და მაშინვე გაუჩინარდა.

ნუგზარი სალაპარაკო აპარატთან მივიდა. ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — მაშინვე გაისმა ქალის ხმა.

— იქნებ კადილა დამალაპარაკოთ.

— ახლავე.

ცოტა ხნის შემდეგ კი ყურმილში ნაცნობი ხმა გაისმა.

— გამაგებინეთ, რამ დაგიფრთხოთ ძილი?

— მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ.

— არა უშავს, არ მეძინა, ვკითხულობდი.

— თუ შეიძლება, ამიხსენით: ჩვენ პირდაპირ დაბალ შენობაში დელფინები ეშვებიან. მათ თავზე რაღაც აპარატი აქვთ დამაგრებული.

— ჰო, ისინი მზვერავი დელფინები არიან. ჩვენ მათ დავალებას ვაძლევთ, დაცურავენ ყველგან და ათასნაირ ინფორმაციას იწერენ.

— ყველაფერი გასაგებია.

— მაშ ძილი ნებისა!

— ძილი ნებისა!

დილით კადილამ დარეკა. ნუგზარმა ყურმილი აიღო.

— უკვე თორმეტი საათია, თქვენ კი ისევ ნებივრობთ. ნახევარ საათში მოვალ, მზად დამხვდით.

— გასაგებია, — ჩასძახა ყურმილში ნუგზარმა, მერე კი მეგობრებს მიუბრუნდა: — აბა, სწრაფად მოემზადეთ, ნახევარ საათში აქ იქნება კადილა, მანამდე საუზმეც უნდა მოვასწროთ.

კადილა ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა. საუზმე უკვე მოთავებული ჰქონდათ. კადილა დერეფანში იდგა, პრიალა, ნათელ კედელთან, ნუგზა-

რი სასადილოდან გამოვიდა, კადილას დანახვაზე სახე ერთბამად გაებადრა.

— მაპატიეთ, — ტკეპნით დაიწყო ნუგზარმა მისალმების შემდეგ, — თუ შეიძლება მითხარით, ეგ რა აპარატია, ტუჩებს რომ გიფარავთ.

აპარატის მინის მიღმა კადილას თეთრმა კბილებმა გაიელვეს.

— მე ხომ თევზი ვარ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ოკეანის მკვიდრი. თქვენსავით როდი შემიძლია სუფთა ჟანგბადით სუნთქვა. აბა, თქვენ სცადეთ ჟანგბადის ბალონის გარეშე წყალქვეშ ცურვა! ეს აპარატი ჩვენმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. მან ამიტებს საშუალება მოგვცა გარკვეული დროით სუფთა ჰაერზე ვიყოთ. ამ აპარატმა მთელი გადატრიალება მოახდინა წყალქვეშა სამყაროში. ვიწყეთ დიდრონი სახლების შენება, შევქმენით ჟანგბადის რეზერვუარები. ახლა ბევრი ამიტი თავის სახლში, სუფთა ჰაერზე ათევს ღამეს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარი ვთქვით წყალზე. მაგრამ ჰაერმა მეტი სიამოვნება მიანიჭა ჩვენს ცხოვრებას.

დერეფანში გოგი, ანდრო და ვალერი გამოვიდნენ. სამივენი მიესალმნენ კადილას.



— ხომ არ შეგაკრთეს ჩვენმა დელფინებმა? — იკითხა ქალიშვილმა.

— არა, — მიუგო ანდრომ, — დელფინებს ჩვენც კარგად ვიცნობთ, ვმეგობრობთ მათთან და ვიყენებთ კიდეც. მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენთან უფრო ახლოს არიან.

— ჩვენ ვესაუბრებით კიდეც დელფინებს. საგანგებო აპარატით თავიანთ ენაზე ვაძლევთ დავალებას და შემდეგ ვუშვებთ. ახლა დღევანდელ პროგრამას გაგაცნობთ. მალე გეწვევათ ჩვენი მთავრობის მრჩეველი სამეცნიერო დარგში. მას თქვენთან საუბარი სურს. შემდეგ, ცოტა გავისეირნოთ, ამიტთა ძველი სადგომები დავათვალიეროთ, ჩვენ სკოლასაც ვეწვიოთ, მერე კი დაისვენეთ. თანახმა ხართ?

— მე მაქვს ერთი პატარა დამატება. — წამოიძახა ბასილაიამ.

— ბრძანეთ!

— ექსკურსიის შემდეგ ურიგო არ იქნებოდა ოკეანის ზედაპირზეც ავსულიყავით. იქ ალბათ ძალიან წუხან ჩვენზე.

კადილამ თვალი თვალში გაუყარა ვალერის.

— მეტი დამატება არა გაქვთ?

— მეტი რაღა უნდა მქონდეს!

— მაშ, გავიდეთ დიდ დარბაზში. მთავრობის მრჩეველი ალბათ უკვე გველოდება.

კადილა წინ გაუძღვათ. გრძელ, ვიწრო დერეფანში გავიდნენ, იქიდან კი ლურჯად შეღებილ დიდ დარბაზში მოხვდნენ.

შუა დარბაზში ახალგაზრდა კაცი იდგა. მას რეიტუზივით შემოტმასნილი, წითელი შარვალი და წითელივე მაისური ეცვა. ფეხები რბილ ფლოსტებში ჰქონდა გაყრილი. შავი თმა მოკლედ შეეკრიჭა.

სტუმრების შესვლისთანავე მან ხელი აიქნია და რაღაც თქვა. არაჩვეულებრივად მჭექარე ხმა გაისმა პირზე დამაგრებული აპარატიდან.

— მადინი გესალმებათ თქვენ, თუმცა ძმებს, მაგრამ მაინც უცხო სტუმრებს, გთხოვთ დაბრძანდეთ. — თარგმნა კადილამ.

დარბაზში მხოლოდ ოთხი სკამი იდგა. ნუგზარი უხერხულად შეიშმუშნა. კადილამ შეამჩნია ეს.

— ამიტებს არცთუ ისე გვიყვარს სკამი. საერთოდ, ჩვენ იშვიათად ვსხდებით: ასე რომ, ეს სკამები თქვენთვისაა განკუთვნილი. გთხოვთ დაბრძანდეთ.

მეზღვაურები დასხდნენ.

მადინმა რამდენიმე წუთი ილაპარაკა და კადილამაც მაშინვე თარგმნა.

— მადინს სამი რამ აინტერესებს: რა ფაზაშია თქვენთან ოკეანის ფსკერის ათვისების საქმე; როგორია თქვენი ტექნიკური დონე, და როგორია ფსკერის ათვისების პერსპექტივა. გთხოვთ, — დასძინა კადილამ, — გულწრფელად ილაპარაკოთ, რადგან ჩვენ შესანიშნავად ვართ ინფორმირებული. ეს ჩემი პირადი თხოვნაა.

ნუგზარმა ჩაახველა და ადგა. მადინმა მაშინვე რაღაც თქვა.

— მადინი გთხოვთ დაბრძანდეთ.

— არა, ადამიანები ლაპარაკის დროს ფეხზე ვდგებით, — თქვა ნუგზარმა და განაგრძო: — ჩვენ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შევუტიეთ ოკეანის ფსკერს. ვიცით, რომ იქ აურაცხელი სიმდიდრეა. მხედველობაში მაქვს, როგორც წიაღისეული: ოქრო, ვერცხლი, ნავთი, ქვანახშირი, შავი ქვა და ათასი სხვა რამ, აგრეთვე ფლორა და ფაუნა.

ჩვენ ჯერ ცოტა რამ ვიცით წყალქვეშეთზე. ამას ისიც მოწმობს, რომ დღემდე წარმოდგენაც არა გვქონდა თქვენ შესახებ. თუმცა უძველესმა მხატვრებმა მრავალი ნახატი შექმნეს ზღვის ფერიებზე — ქალთევზებზე, მაგრამ ამას ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პოეტურ ფანტაზიას ვაწერდით. დღეს კი მე და ჩემს მეგობრებს საშუალება მოგვეცა ეს სხვანაირად ავხსნათ, უფრო რეალურად.

კადილა დიდი გულმოდგინებით ისმენდა და თარგმნიდა.

— ჩვენ ავაშენეთ პირველი ექსპერიმენტული ქალაქები, ზღვების მცირე სიღრმეებზე — განაგრძო ნუგზარმა, — დავიწყეთ ნავთისა და მადნეულის მოპოვებაც თხელი ზღვებიდან მაგრამ ეს მხოლოდ დაზვერვითი სამუშაოებია. ახლა ჩვენ გვაქვს დიდებული ბათისკაფები, მათ შეუძლიათ უხიფათოდ ჩაეშ-

ვან ყველა სიღრმეზე. გვაქვს მძლავრი წყალქვეშა გემები, რომლებიც ფსკერამდე ეშვებიან თხელ ზღვებში. გვაქვს აპარატურები, რომლებითაც შეკუმშული ჟანგბადი ჩაგვაქვს დიდ სიღრმეზე.

მომავალში ტექნიკა კიდევ უფრო წინ წავა და ადამიანი დაიწყებს არამცთუ დიდ სიღრმეებზე ჩაშვებას, არამედ სამუდამოდ დასახლდება წყალქვეშა ქალაქებში. მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

ნუგზარი გაჩუმდა.

მადინმა თავი დაიქნია და თავის ენაზე რამდენიმე ფრაზა თქვა.

კადილამ კი თარგმნა:

— მადინი კმაყოფილია თქვენი გულწრფელი განცხადებით. იგი ამბობს: როგორც ვიცით, თქვენ ძლიერ სწრაფად მრავლდებით. ბუნებრივია, ეძებთ ახალ საარსებო სივრცეს. ერთ-ერთი საარსებო სივრცე კი ოკეანის ფსკერია. თქვენთვის არასასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ სივრცეს უკვე ჰყავს პატრონი. თუმცა ამიტები არც ისე სწრაფად ვმრავლდებით, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრნი ვართ. ოდესმე ალბათ მოგვიწევს დიდი ომი.

— რა საჭიროა ომი. — თქვა ნუგზარმა.

მადინმა კიდევ რაღაც თქვა.

— იგი კითხულობს, ჩვენს სტუმრებს ხომ არ სურთ რაიმეო.

— ჩვენ გვსურს, — დაიწყო ნუგზარმა, — შევიტყოთ, დღემდე თუ ჰყოლიათ ამიტებს ტყვე ადამიანები, თუ პირველი ჩვენა ვართ?

როგორც კი კადილამ ეს სიტყვები თარგმნა, მადინი მაშინვე კედლისაკენ მიბრუნდა, ნუგზარმაც იქით გაიხედა და ახლაღა შეამჩნია, რომ კედელზე სამი დიაგრამა ეკიდა. პირველზე გამოსახული იყო ადამიანის კუნთური სისტემა, მეორეზე — სისხლის მიმოქცევა, მესამეზე — საჭმლის მომნელებელი სისტემა.

— ეს ჩვენა ვართ თუ თქვენ? — იკითხა ნუგზარმა.

— ჩვენ იქ ვართ, — თქვა კადილამ და კედლის მოპირდაპირე მხარეზე აჩვენა.

ნუგზარმა ახლა მეორე მხარეს გაიხედა. იქაც სამი დიაგრამა ეკიდა.

— ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

— დიახ, ვგავართ, მაგრამ განსხვავებაცაა. ჩვენი ფილტვები გაცილებით პატარაა, პირის ღრუ კი უფრო რთული, ვინემ თქვენი. ამიტს პირი წყლით რომ ევსება, საყლაპავი მილი და სასუნთქი პატარა კლაპანით ეხურება. წყალი ენის მოძრაობით მიდის ზედა ფილტრისაკენ, იქ ტოვებს ჟანგბადს და შემდეგ ცხვირის საშუალებით გარეთ გამოდის. ეს საკმაოდ რთული სისტემაა.

მადინმა რაღაც წარმოთქვა:

— მადინს სურს შეიტყოს, ჩვენს სტუმრებს აქვთ თუ არა კიდევ რაიმე სათქმელი?

— არაფერი.

მადინმა თავი ღირსეულად დაიქნია. ამით დამსწრეთ აგრძნობინა, აუდიენცია დამთავრებულიაო, და ნელა გავიდა დარბაზიდან.

— წავიდეთ, — თქვა კადილამ.

ისევ იმ ვიწრო დერეფანში გამოვიდნენ. ცოტა რომ გაიარეს, ნუგზარი კადილას მიუბრუნდა:

— მინდა რაღაც გკითხოთ.

— მიბრძანეთ.

— არა, ცალკე მინდა გელაპარაკოთ.

— როგორც გნებავთ. თქვენს მეგობრებს გავაცილებ და ახლავე მოვალ. ოთახში დამელოდეთ. აი, აქ მობრძანდით!

კადილამ პატარა ოთახის კარი შეაღო. ერთი კედელი მინისა იყო. მინის იქით პროჟექტორებით გაჩახჩახებული მიდამო ჩანდა.

ველზე ვიღაც პატარა ბიჭი მოცურავდა. ნუგზარი რომ დაინახა, ზედ მინასთან მოვიდა. პატარა ხელებში უზარმაზარი ომარი ეჭირა, ომარს დიდად არ სიამოვნებდა ტყვეობა და ცდილობდა, ბიჭის თითები მარწუხებში მოექცია. მაგრამ ბიჭს მარჯვედ ჩაევლო ხელი ცხოველისათვის.

ბიჭმა პატარა, კოხტა ცხვირი მინას მოაჭყლიტა. გაიღიმა და რაღაც თქვა. ნუგზარმა ხელებით ანიშნა, ვერაფერი გავიგეო, მაშინ ბიჭმა ომარი მაღლა ასწია.

არა, არ მჭირდებაო, ხელით ანიშნა ნუგზარმა. ამ დროს ოთახში კადილა შემოვიდა. მან თითი ღილაკს დააჭირა და მინას ბრჭყვიალა თხელი კედელი გადაეფარა.

— აბა, მიბრძანეთ, რა გნებავდათ?

— გულახდილად მითხარით, ოდესმე თუ გაგიშვიათ ტყვე ადამიანი? ის დიაგრამები, ახლახან რომ ვნახე, მაფიქრებინებს, ასეთი ტყვეები თქვენ არცთუ ისე ცოტა უნდა გყოლოდათ, მაგრამ იქნებ რომელიმე მათგანი იმ პირობით გაათავისუფლეთ, რომ თქვენს არსებობაზე სიტყვას არ დაძრავდა. ჩვენთვის მართლაც არავის არაფერი უთქვამს წყალქვეშა ადამიანების შესახებ.

კადილა ხმას არ იღებდა და ეს სიჩუმე არ მოსწონდა ნუგზარს, მან უკვე იცოდა, როცა კადილას კითხვა არ სიამოვნებდა, დუმდა. მაგრამ, როგორც იქნა, კადილამ ხმა ამოიღო.



— ჩვენთან ბევრი ადამიანი მოხვედრილა, ცოცხალი კი არავინ წასულა. ამიტებმა კარგად იციან ერთი ჭეშმარიტება: როცა საქმე უდიდეს საიდუმლოს ეხება, პატიოსან სიტყვაზე დანდობა სისულელეა და მეტი არაფერი. ჩვენ არასოდეს არ ვჭრით იმ ხეს, რომელზეც პაპას ეძინა.

— რა დაემართათ იმ ბედკრულ ადამიანებს, თქვენს ტყვეებს?

— დაიხოცნენ. ჯერჯერობით ხმელეთის ადამიანები მთლად კარგად ვერ ეგუებით ფსკერს, სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ თქვენი შეტევა ოკეანეზე შორეული მომავლის საქმეა.

— კიდევ ერთი კითხვა. წეღან მადინმა თქვა: ამიტები ნელა მრავლდებიანო, ხომ ვერ მეტყვით, რატომ?

— ადგილები, სადაც ამიტები ცხოვრობენ, გეოლოგიურად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ხშირია ვულკანების ამოფრქვევა, მიწისძვრა. თითოეულ ასეთ მოვლენას დიდი მსხვერპლი მოჰყვება ხოლმე. ამიტომ ვცდილობთ, თანდათან შევეჩვიოთ ჰაერს; სწორედ ამიტომაც ვიწყეთ ოკეანის თხელ ფენებში გადმოსახლება, რათა თანმიმდევრულად გადავწყვიტოთ ორი პრობლემა — წნევისა და ჰაერთან შეგუებისა.

ახლა ამიტები ფიზიკურად შესანიშნავად არიან შეგუებული ოკეანის თხელ ფენებს; დიდი ცვლილება განვიცადეთ ანატომიურად. ამიტთა სასუნთქი ორგანოები შეიცვალა. ამ აპარატმა კი, როგორც ვთქვი, მთელი გადატრიალება მოახდინა. დიახ, ჩვენ გვჯერა მომავლისა.

— საუკუნეების განმავლობაში უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ ჩვენი გემები, — დაიწყო ნუგზარმა, — ისინი ახლაც ისე ქრებიან, რომ საგანგაშო სიგნალის გადაცემასაც ვერ ასწრებენ. უზომოდ გაოცებულნი, ამ ამბავს რაღაც იდუმალ საოცრებას ვაწერდით. ახლა კი ბევრ რამეს ეხდება ფარდა.

— მინდა ჩემი ხალხის სახელით ბოდიში მოვიხადო იმ უსიამოვნებისათვის, რაც თქვენი გემებისათვის მიგვიყენებია. ახლა კი წავიდეთ, სკოლაში გველოდებიან.

როცა ოთახიდან გამოვიდნენ, კადილამ თქვა:

— იქნებ პირდაპირ, ცურვით გაგვესეირნა! ელასტიკურ კოსტიუმებს მოგცემთ, — წნევასაც დიდებულად უძლებენ და წყალქვეშა გაზებსაც. ჟანგბადის ბალონებსაც მოგცემთ.

— სიამოვნებით, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვოთ: ის საშინელი სინამდვილე, რაც ახლა მიამბეთ, ჩვენ შორის დარჩეს. არ მინდა ჩემს მეგობრებს გავუმწარო სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

— ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გსურთ.

ისინი უკვე დერეფანში გამოვიდნენ. კადილა შეჩერდა.

— მოემზადეთ, კოსტიუმები საძინებელში დაგხვდებათ, მე კი აქ დაგელოდებით.

— რაზე ლაპარაკობდით? — ჰკითხა ნუგზარს საძინებელში შესვლისთანავე ვალერიმ.

— მათი ტექნიკური დონის შესახებ უზარმაზარი ქარხნები ჰქონიათ, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა...

— ამ კოსტიუმებს რომ ნახავთ, მაგაში ეჭვი არ შეგეპარებათ. — თქვა ვალერიმ და თხელი, ლურჯი კოსტიუმი ჰაერში შეისროლა.

— ეგ კოსტიუმები წნევის საწინააღმდეგოა, ახლავე ჩაიცვით, კადილა დერეფანში გველოდება. სკოლის დასათვალიერებლად მივდივართ, — უთხრა ბიჭებს ნუგზარმა.

სწრაფად ჩაიცვეს. კოსტიუმების სახელოების ბოლო აპკიანი ხელთათმანებით ბოლოვდებოდა, შარვლის ტოტი კი — გრძელი, მოქნილი ლასტით.

ის იყო გამოეწყვნენ, რომ კადილას ხმა მოესმათ:

— წავიდეთ?

იმ ოთახში, შენობაში შემოსვლისას პირველად რომ მოხვდნენ, მეზღვაურებმა ჟანგბადის ბალონები მიიღეს, მერე კადილამ ისინი პატარა ოთახში გაიყვანა. ქალიშვილმა პირთან დამაგრებული აპარატი მოიხსნა და შარვლის ვიწრო ქამარზე დაიმაგრა. ნუგზარმა აშკარა შიშით შეხედა ქალს. კადილამ გაიღიმა.

— ნუ გეშინიათ, ათიოდე წუთს სუფთა ჰაერზე გავძლებ. თუ გაჭირდა, მეტსაც.

კადილამ თითი ღილაკს შეახო. ლუკი გაიხსნა და ოკეანის წყალი შხუილით შეიჭრა შიგ. ერთ წუთს წყლის სამყაროს იდუმალმა ხმებმა დაახშო ყველას სმენა. ეს ხმა ასეულ ათასობით კალმარის, ზვიგენის, რვაფეხას, დელფინის, გიგანტურ ხეთა სუნთქვა იყო. ეს იყო გოლიათი ოკეანის ჩუმი კვნესა და სუნთქვა.

ნელა გაცურდნენ ოთახიდან. კადილამ ნუგზარს ხელი ბეჭზე შეახო. ნუგზარმა მიიხედა.

— არ დავიფანტოთ — უთხრა კადილამ. — გახსოვდეთ, რომ ეს არის ექსპერიმენტული ქალაქი. აქ ცოტა ამიტი ცხოვრობს, საშიში მტაცებლები კი ბევრია. ჩემთან ახლოს იცურეთ.

ირგვლივ ყველაფერი განათებული იყო. ველზე ჩანდა თვალისმომჭრელი მკვეთრი სინათლის გრძელი, ლარივით გაჭიმული ზოლი. მის მარჯვნივ და მარცხნივ, ხუთიოდე მეტრის დაშორებით, შედარებით ვიწრო ზოლები ჩანდა. როგორც ფართო, ასევე ვიწრო ზოლებში შუქი ქვემოდან ამოდიოდა. კადილა მარცხენა ვიწრო ზოლისაკენ გაუძღვა მეზღვაურებს, იგი ძალიან სწრაფად მოძრაობდა, ფეხების მოქნევაზე ორი-სამი მეტრით წინ გავარდებოდა ხოლმე. მერე ისევ ჩერდებოდა და ხმელეთელებს ელოდა. ვალერიმ თავი ვეღარ შეიკავა:

— კადილა, თქვენი სისწრაფე და მოქნილობა რომ მქონოდა, იქ, ზევით, ახლა მსოფლიო ჩემპიონი ვიქნებოდი.

კადილამ გაიცინა. სიცილის ხმა ისე კარგად ისმოდა, რომ ნუგზარი მიხვდა, სასუნთქ ნიღაბს მინიატურული სასმენიც ახლდა.

— სხვები ჩემზე უფრო მარდები არიან და უკეთესადაც დაცურავენ, — თქვა კადილამ.

ოციოდე წუთის შემდეგ გაჩახჩახებული შენობა გამოჩნდა.

— მოვედით, — თქვა კადილამ და იმ შენობისაკენ გაცურდა. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ.

შენობა ორსართულიანი იყო. წინა მხარე სულ მინისა ჰქონდა. მინის იქით ჩანდა დიდი საკლასო ოთახები.

კადილა შესასვლელს მიადგა, — კარს ხელით შეეხო და გააღო. ამ კარით მომცრო ოთახში შევიდნენ. კარი დაიკეტა თუ არა, ოთახიდან წყალი მაშინვე გაისრუტა. მეზღვაურების ფეხებთან გაჭრილ შპიგატებში გაუჩინარდა.

კადილამ ქამარზე დამაგრებული აპარატი აუჩქარებლად მოიხსნა და პირზე გაიკეთა.

— ნიღბები მოიხადეთ, — თქვა მან, — აქ ჟანგბადი საკმარისადაა.

მეზღვაურებმა ნიღბები მოიხადეს. კადილამ ფართო კარი შეაღო, განიერ დერეფანში შევიდნენ. დერეფნის შუა ადგილიდან მეორე სართულისაკენ ლურჯი პლასტიკატის კიბე ადიოდა. მეზღვაურებიც ამ კიბეს აუყვნენ.

კიბის თავში განიერი დერეფანი იწყებოდა. იქვე ჭაღარა ქალი იდგა.

— სკოლის ხელმძღვანელია, — თქვა კადილამ.

ჭაღარა ქალი წინ გაუძღვათ. გაიარეს დერეფანი, მერე მასპინძელმა ფართო კარი შეაღო. დიდ დარბაზში აღმოჩნდნენ. დარბაზის შუაგულში გრძელი მაგიდები რიგებად ეწყო. მაგიდასთან ექვსი მოსწავლე იდგა. სკამები საერთოდ არ ჩანდა. მოსწავლეთა წინ მასწავლებელი მიმოდიოდა.

როცა ყველანი შევიდნენ დარბაზში, მასწავლებელი მაგიდის წინ შეჩერდა და ხელი დაიქნია. მასწავლებელს მაშინვე მოსწავლეებმა მიბაძეს — მათაც გაიქნიეს ხელი.

— ჩვენი სალამი თქვენ სკოლას! — თქვა ნუგზარმა.

კადილამ მაშინვე თარგმნა, მერე მასწავლებელმა ილაპარაკა ცოტა ხანს.

— იგი ამბობს, რომ სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა. სკოლას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, იგი კარგა ხნის

წინათ აშენდა და, როგორც ყველგან, აქაც ბეჯითი ბავშვები სწავლობენ.

კადილამ თარგმნა რომ დაამთავრა, მაგიდას ერთი ყმაწვილი მოშორდა სხვა ბავშვებივით მასაც პირზე აპარატი ჰქონდა მიმაგრებული, მაგრამ ნუგზარმა მაინც იცნო ონავარი ყმაწვილი, წეღან ოთახის მინის იქით რომ დაინახა.

— მოგესალმებით მოსწავლეთა სახელით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! აქ მყოფ მოსწავლეთაგან ქართული მხოლოდ მე ვიცი. ეს კადილა დეიდას დამსახურებაა. სიამოვნებით ვისაუბრებდი თქვენთან, როცა კი მოგესურვებათ.

— ძალიან მსიამოვნებს, რომ მშობლიურ ენაზე გვესაუბრები, — წამოიძახა ანდრო გაბოშვილმა, — მეც მყავს ყმაწვილი, თუმცა იგი შენოდენა არაა, მაგრამ შენსავით მხიარული და ყოჩაღია. რა გქვია, კარგო ბიჭო?

— ნატე, ნატეს მეძახიან.

— ნატე ამიტურად სიცოცხლეს ნიშნავს, — თქვა კადილამ.

საკლასო ოთახიდან გამოვიდნენ. ჭაღარა ქალი კვლავ წინ გაუძღვათ. დიდ დარბაზში შევიდნენ. დარბაზის კედლებზე უამრავი ფოტოსურათი ეკიდა.



ფოტოებიდან იცქირებოდნენ სხვადასხვა ასაკის დარბაისელი ქალები და მამაკაცები.

— ეს სკოლის მუზეუმია. აქ გამოფენილია იმ ადამიანების სურათები, სხვადასხვა დროს ამ სკოლაში რომ ასწავლიდნენ. ამიტებს უყვართ დამსახურებულ ადამიანთა დაფასება, — თქვა კადილამ.

სურათები ყურადღებით დაათვალიერეს, მერე ოთახიდან გამოვიდნენ, ჭაღარა ქალს დაემშვიდობნენ და ისევ კიბეს გაჰყვნენ.

— ხომ არ დაიღალეთ? — იკითხა კადილამ.

— არა, ჯერ არ დავღლილვართ, — მიუგო ანდრომ.

— აბა, ამიტთა ძველი სადგომებიც დავათვალიეროთ და შემდეგ გავწიოთ შინისაკენ, — შესთავაზა კადილამ.

— სიამოვნებით, — უპასუხა ნუგზარმა.

ნიღბები ისევ გაიკეთეს. საჰაერო მილი ჩახრახნეს და სკოლიდან გამოცურდნენ.

კადილა წინ მიცურავდა. გაიარეს ფართო ველი. ერთბაშად შავი მარჯნის პატარა ბორცვი გამოჩნდა. ბორცვი კარგად იყო განათებული და ათასფრად ელვარებდა. კადილა ბორცვთან მიცურდა და პატარა ნაპრალთან დადგა.

— აქედან უნდა ჩავიდეთ, — თქვა მან და ნაპრალში ჩასრიალდა. მას ჯერ ნუგზარი მიჰყვა, მერე სხვებიც.

ნაპრალიც განათებული იყო. იგი მოზრდილ ოთახში გადიოდა. ოთახში შუქი კედლებიდან იღვრებოდა, ცარიელ ოთახში იატაკზე მოფენილი იყო რაღაც რბილი, ფაფუკი ბალახი.

— აი, ასეთ სახლებში ვცხოვრობდით ოდესღაც. ამ ბალახზე გვეძინა. რასაკვირველია, მაშინ არ იყო ელექტროენერგია და ბინებშიც საშინლად ბნელოდა.

ვალერი ბალახზე გაკოტრიალდა.

— ღმერთმანი, არცთუ ისე ცუდი დასაძინებელია. მეც სიამოვნებით ვინებივრებდი ამ ბალახში, — თქვა მან.

კადილამ გაიცინა.

— ახლა კი წავიდეთ. შინ ნოყიერი სადილი გელით.

კადილამ ბიჭები ბინამდე მიაცილა, მერე ლუკი გახსნა და წყალქვეშა ველზე გაუჩინარდა.

— კმაყოფილი ხართ? — ჰკითხა ნუგზარმა ამხანაგებს, როცა სადილს

მორჩნენ და დასასვენებელ ოთახში გა-ვიდნენ.

— კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდით, ზევითაც რომ გაგვესეირნა. საერთოდ, რა იქნება, ამ კოსტიუმებით აქედან რომ მოვცოცხოთ? — თქვა ვალერიმ.

— ის იქნება, რომ შუა გზამდეც ვერ ავაღწევთ.

— აბა, კარგად ყოფილა ჩვენი საქ-მე!...

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

ნუგზარმა ყურმილი აიღო და იმწამს-ვე ქალის ნაცნობი ხმა გაისმა.

— გისმენთ.

— კადილასთან მალაპარაკეთ, გე-თაყვა.

— ახლავე.

— კადილა ხართ?

— დიახ, მე გახლავართ.

— შუქი გამორთეს.

— სად? თქვენთან?

— არა, გარეთ გამორთეს.

დები დინაკს, — ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაისმა კადილას ხმა: — დინაკი თანახმაა. ზუსტად 6 საათზე გამოგივ-ლით, მზად იყავით.

ნუგზარმა ყურმილი დადო. ვალერი საწოლიდან წამოწეულიყო და თვალებ-ში მისჩერებოდა ნუგზარს. გოგისაც ელ-ვიძა და ანდროსაც.

— კიდევ რა ხდება ჩვენს თავს? იკი-თხა ვალერიმ.

— ამიხოტიდან კადილას ძმა, დინაკი



ვნახოთ, რა იქნება.

ნუგზარი საწოლზე მიეგდო და მაშინ-ვე ჩასთვლიმა. სხვებიც დაწვნენ. ერთ-ბაშად იგრძნეს დაღლილობა.

როცა ნუგზარმა თვალი გაახილა, სა-წოლზე წამომჯდარი ბასილაია დაინა-ხა. ოთახი გაჩახჩახებული იყო, მი-ნის იქით ოკეანეში კი უკუნი სიბნე-ლე იდგა.

— სინათლე გამორთეს? — იკითხა ნუგზარმა.

— ჰო, თითქმის ოცი წუთი იქნება; გუშინ ამ დროს ენთო, დღეს კი გამორ-თეს.

— საინტერესოა, რა ხდება.

— იქნებ კადილასთვის გეკითხა, ჯერ მაინც ადრეა, ალბათ არ სძინავს.

— ჩვენთან 10 საათზე იწყება ღამე და შუქსაც ამ დროს გამორთავენ. დი-ლით კი შვიდი საათიდან კვლავ ინთე-ბა შუქი.

— გუშინ რომ მთელი ღამე ენთო?

— გუშინ სხვა ამბავი იყო. ღამის სე-ანსი მოეწყო დელფინებთან. ამიტომ თქვენს ირგვლივ შუქი არ გამოურთავთ. ჰო, მართლა, ეს წუთია, ჩემი ძმა, დი-ნაკი მესტუმრა ამიხოტიდან. სანადი-როდ აპირებს წასვლას. თუ თქვენც ინე-ბებთ, ვთხოვ თან წაგიყვანოთ. იქნებ მეც წამოვიდე, წყალქვეშა ნადირობა ძალიან საინტერესოა.

— ამას რა სჯობს, ჩვენ ყველანი ნადირობის ტრფიალი ვართ.

— მოითმინეთ, ახლავე შევუთანხმ-

ჩამოსულა. დილის ექვს საათზე იგი ჩვენთან იქნება, სანადიროდ გვეპატი-ჟება.

— ყველაფერი მომბეზრდა. — თქვა ანდრომ, — რაღაც მოთენთილი ვარ, ყურებიც მიშუის, გუნებაც გამიფუჭდა.

— წნევის ბრალია, გაგივლის, — უთხრა ნუგზარმა. — ისე, თუ გეზარე-ბა, დარჩი, ნუ წამოხვალ.

— არა, თუ კარგად ვიქნები, წამო-ვალ.

— ახლა კი დავიძინოთ. დილით ად-რე ვართ ასადგომი. — თქვა ნუგზარმა.

დასასრული იქნება

მხატვარი ჯემალ ლოლუა.



# არნო ონელი

დაბადების 70 წლისთავი

არნო ონელი უკვე ცნობილი პოეტი იყო, როცა ბავშვებისათვის დაწერა პირველი დიდი ნაწარმოები, პოემა „ცრემლი და სიხარული".

ეს იყო 1933 წელს.

ამ პოემის დაწერა საბავშვო მწერლობაში მოღვაწეობის დაწყების ცდაც იყო და საბოლოო გზის არჩევაც. მას შემდეგ, აგერ თითქმის ორმოცი წელია პოეტი შეუწყვეტლად განაგრძობს საბავშვო ლიტერატურაში მუშაობას.

მისი თემები ამოუწურავია.

თვითონ კეთილი გულის ადამიანია და მისი ლექსებიც ნორჩ თაობაში სიკეთის დანერგვას ემსახურება.

ლექსი „წყაროს სიმღერა" გვაუწყებს პოეტის გულისნადებს, მის მისწრაფებას. პოეტი ამბობს:

ჩემი აზრი და ფიქრია,
სიყვარულით შევხვდე ყველას:
კაცს და ფრინველს, შველს და ირემს,
ბაჭიას თუ ჭრელ პეპელას.

და ბოლოს დასძენს: ვემსახუროთ კეთილ საქმესო.

ყველაფერი, რაც კაცობრიობას შეუქმნია, ხომ სწავლა-განათლების შედეგია. აბა ვინ არ მოუწოდებს ნორჩ თაობას სწავლისაკენ! პოეტიც ამ გზით სიარულს ნორჩებს თავისებურად, შთამაგონებლად ასწავლის. აი, მაგალითად: განთიადისას ბიჭუნას ფანჯარას ჩიტი ესტუმრა... ეს საყვარელი არსება გალობს, ნეტა ვის უმღერს? ვის და:

ვინც კარგად სწავლობს და კარგი სწავლით
ქვეყნისთვის მოაქვს ბედნიერება.

მეგობრობაში იჭედება ბევრი კარგი საქმე. მეგობრობის თემა ამოუწურავია და არნო ონელმაც რამოდენიმე კარგი ლექსი დაწერა ამ თემაზე. ალბათ მოგაგონდებათ „მეგობრობაც ამას ჰქვია"!

არნო ონელის ლექსის გმირი მზრუნველობს და თავსევლება ბუნებას, ცდილობს კიდევ უფრო გაალამაზოს, ააყვავოს იგი. მაგრამ პოეტის თვალს არც იმ ბავშვის საქციელი რჩება შეუნიშნავი, რომელიც მცენარეს უდიერად ეპყრობა. ამის შესახებ თვითონ მცენარე გველაპარაკება. ტირიფი ჩივის, ჩემთან ერთი თავხედი ბიჭუნა მოვიდა და დანით ტანი დამისერაო. თუმცა, ბოლოს ეს ცელქი ბიჭიც დაფიქრდა და თავის დანაშაულს მიხვდა. ამ ორივე ლექსით პოეტი მოუწოდებს ბავშვებს გაუფრთხილდნენ ბუნებას და იყვნენ მისი გულითადი მეგობრები.

არნო ონელის ლექსებს რომ წაიკითხავ, სწორედ ის სიტყვები გინდა გაიმეორო მის შესახებ, რასაც თვითონ პოეტი ამბობს ბავშვების უსაყვარლესი პოეტის — შიო მღვიმელის მიმართ: „მას ყველას გულთან მიაქვს სათნოებისა და სიკეთის წმინდა გრძნობები".

არნო ონელი ამ ხანდაზმულობის დროსაც ნაყოფიერად მუშაობს. მას ხომ 70 წელი შეუსრულდა!

ვუსურვოთ კვლავაც ასე ნაყოფიერად ეშრომოს და ელვაწოს თქვენს საბედნიეროდ და სასიკეთოდ, ჩვენო ძვირფასო ბავშვებო!

ლავრენტი ჵიჵინაძე.

# ლურჯი ზღვის სანაპიროზე

ჰკითხეთ უკრაინის ქალაქ ოდესის მცხოვრებლებს, თუ რომელი პლაჟი სჯობს ყველას შავი ზღვის სანაპიროზე: ისინი დაუყოვნებლივ გიპასუხებენ: „ლუზანოვსკი". სიმართლე თუ გნებავთ, ასეცაა. ოდესის გარეუბანი ლუზანოვსკი თავისი სანაპიროთი საქვეყნოდ ცნობილ ევპატორიასაც გაეჯიბრება. სანაპიროზე ქვიშა აქაც ისევე საოცრად სუფთაა, როგორც ევპატორიაში. ზღვის ნაპირიც ისე მარჩხია, სკოლამდელი ასაკის ბავშვსაც შეუძლია იბანაოს. ფერწერული, მწვანე ფრიალოები და მათ მიღმა გაშლილი ვრცელი ტრამალი ავსებენ ლუზანოვსკის პეიზაჟს.

აქ, მაღალ სანაპიროზე განლაგდა უკრაინელ პიონერთა ბანაკი „ახალგაზრდა გვარდია". თუმცა სკოლებში უკვე კარგა ხანია დაიწყო მეცადინეობა, უკან დარჩა არდადეგები, საყვირის ხმაზე აქ, ისევე, როგორც ზაფხულში, ორი პიონერული ბანაკის „მზიურისა" და „საზღვაოს" რაზმეულები ხაზზე ეწყობიან, ანძაზე ფრიალებს ალამი. მაგრამ თუ ზაფხულობით ბავშვები აქ მხოლოდ ისვენებენ, ზამთრობით ისინი აგრძელებენ სწავლას თავიანთ კლასებში — მეხუთედან მერვე კლასამდე ჩათვლით. ბანაკში აქვთ საკუთარი სკოლა, რომელიც სასწავლო პროგრამით მუშაობს. ამიტომ ვინც დასასვენებლად ჩამოდის „ახალგაზრდა გვარდიაში", სკოლას არ ჩამორჩება.

ბანაკში აღმართულან შესანიშნავი კორპუსები, ნათელი, ჰაეროვანი ჰოლებით, ჩამოსულთა განკარგულებაშია პიონერთა სასახლე. ზაფხულობით ბავშვებისთვის მუშაობს მწვანე თეატრი, სტადიონი, საგანგებო საცეკვაო მოედანი.

პიონერები „ახალგაზრდა გვარდიას" უკრაინის არტეკს უწოდებენ. აქ არა მარტო კარგად დასვენება, არამედ ბევრი რამის სწავლაც შეიძლება. ბავშვები აქ სწავლობენ ახალ სიმღერებს, ცეკვებს, თამაშობებს, და რაც მთავარია, — ბანაკში მყარდება მტკიცე მეგობრობა მოსწავლეთა შორის.

ივლისში, უკრაინელ პიონერთა მე-5 შეკრებაზე აქ ჩამოსული იყო ქართველ პიონერთა დელეგაცია. გულთბილი მოგონებები წაიღეს სოფრჩმა ქართველებმა, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნატა კვინიკაძემ და მე-12 სკოლის მოსწავლემ პაატა სვანიშვილმა. მათ ბევრი ახალი რამ გაიგეს უკრაინელი პიონერების ცხოვრებაზე, შეისწავლეს კრასნოდონის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის — „ახალგაზრდა გვარდიის" ისტორია.

ახალგაზრდა გვარდიელთა სახელები უკვდავია საბჭოთა ხალხის გულში, მაგრამ მათ განსაკუთრებული მადლიერებით წარმოთქვამენ აქ ჩამოსულნი. სკოლა-ბანაკში აქვთ გვარდიელთა სიმბოლური მერხები, რომლებზეც საუკეთესო პიონერები სხედან. ისინი ყოველთვის ფეხზე ამდგარნი მღერიან ახალგაზრდა გვარდიელებისადმი მიძღვნილ სიმღერას. აქ ტრადიციად იქცა მათი გახსენება.

...საღამოა. ცაზე აკიაფდნენ ციმციმა სამხრეთული ვარსკვლავები, ნანაობს ზღვა. საბანაკო შეკრებაზე გამოდიან რაზმები. მათ მოჰყვება სტუმრების — საბჭოთა არმიის მეომართა რაზმი.

ახალგაზრდა გვარდიელთა ბიუსტებთან საპატიო ყარაულში დგებიან პიონერები. სადღაც, ქვევით ინთება წითელი სინათლე და ზღაპრულად ანათებს ბნელ სილუეტებს. ტრიბუნაზე დგანან პიონერები, სტუმრები. წითელ პილოტურიანი პიონერი კითხულობს სიას.

— ოლეგ კოშევოი!

— დაეცა მამაცთა სიკვდილით ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში! — უპასუხებენ პიონერები.

— ივან ზემნუხოვი!

— სერგეი ტიულენინი!

— ივან ტურკენიჩი!

— ულიანა გრომოვა!

— ლუბა შევცოვა!

პასუხად ისმის — „დაიღუპნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში". დიახ, დაიღუპნენ, მაგრამ არ მომკვდარან. ისინი დღესაც ცოცხლობენ ახალგაზრდობის საქმეებში, ყველას გულში, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო. შეკრების ხაზზე ინთება ჩირაღდნები. ისმის დოლის რაკუნი. დროშები სამგლოვიაროდ ეშვებიან. ქღერს რექვიემი.

— ვიცხოვროთ, ვისწავლოთ, გვიყვარდეს სამშობლო ახალგაზრდა გვარდიელებივით! — მოუწოდებს მორიგე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

— ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ! — ისმის პასუხად.

პიონერები ასრულებენ სიმღერას ახალგაზრდა გვარდიელებზე. „დღეს სტარტზე ვდგავართ, ხვალ გავფრინდებით". — ამბობს სიმღერა. დიახ. ნორჩები ემზადებიან მომავალი დიდი საქმეებისთვის.

ოდესაში წმიდათა-წმიდა ადგილია დიდების ხეივანი. აქ გრანიტის ლოდებქვეშ სძინავთ ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულთ. ზღვის სანაპიროზე აღმართულა უცნობი მეზღვაურის ძეგლი. ოდესელი პიონერები ამ ადგილს უწოდებენ № 1 პოსტს.

— აქ დაკრძალულია ჩემი რვა ამხანაგი, — ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი, ოდესის საპატიო მოქალაქე ი. გ. ბრეუსი.

— ადამიანებო, გახსოვდეთ ისინი, რომლებიც არასოდეს დაბრუნდებიან, — ისმის მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი პიონერი გოგონას ხმა.

პიონერები ნელ-ნელა აწყობენ წითელი მიხაკების თაიგულებს ვარდისფერ გრანიტებზე.

რამდენი უცნობი მეზღვაური-ჯარისკაცი ჩანთქეს ზღვის ტალღებმა. იქ, ზღვაშია მათი საფლავები. ვინ მივა მათთან? ვინ მიუტანს მათ ყვავილებს?

ჩვენ — პიონერები!

მიცურავენ ზღვაზე კატარღები და მიჰყავთ პიონერები. ნაპირიდან, შორს, ტალღებზე ცვივიან გვირგვინები. ეს ბავშვების მადლობაა ბედნიერი აწყმოსათვის.

ჩ. ბალტაჩეევა.

ამჯერად ჩვენი სტუმარია უკრაინული საბავშვო ჟურნალი „პიონერია".

მასალები უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ.






## მოსწავლეთა



## შემოქმედება

ბორის კორნიენკო მერვე კლასის მოსწავლეა. ყმაწვილის გატაცებაა ფერები, რიტმები, შუქჩრდილები. იგი კარგად ხატავს. მისი ნახატები თვალს ატყვევებს თვითმყოფადი კოლორიტით, მკვეთრი კონტურებითა და სტრუქტურით. ბორისი ხეების ფესვებიდან აქანდაკებს გასაოცარ ფიგურებს, მაგრამ ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო მისმა პოეზიამ, რომელშიც ხალასი განცდები და მოულოდნელი მეტაფორები ფაქიზად, ჰაეროვნად არის შერწყმული პოეტურ დასკვნებთან. ბორისის პოეტური სამყარო გამოირჩევა აზრის ჰარმონიულობით. ნორჩ პოეტს შთააგონებენ უმეტესად არა წიგნებიდან ამოკითხული სტრიქონები, არამედ საკუთარი დაკვირვებები.

ვლადიმერ პიანოვი,
კრიტიკოსი.

მარტო მე და შენ.
მე თვითმფრინავებს ვასწავლი ფრენას.
შენ სწავლობ ჩემგან და გენატრება
საკუთარი თვითმფრინავები.
(როცა გვექნება ბევრი ქაღალდი —
შენ შეასწავლი ფრენას ჩემს და
შენს თვითმფრინავებს.
როცა არცერთი დაეშვება დედამიწაზე, —
ჩათვალე მაშინ, რომ გასრულდა
ბავშვობა ჩვენი).

მზე, მოგარსული ღრუბლის ქულებით.
სისხლია პეშვში გაყინული.

თუ დედამიწა გაცივდება,
მე მას გავათბობ.



ბრძმედთან.

ნ. სტალიარჩუკი.
15 წლის.

მე არ დაგტოვებ ბიწიერი კაცების ხელში,
წაგიყვან ჭალას და დაგანახვებ
თუ როგორ ჰყვავის ლურჯი ყვავილი.

(გაზაფხულისას)
გამოზაფხულზე ჩვენ ვერ ვამჩნევთ
ცაში რაკეტებს — მშობლიურ კერას
უბრუნდება წეროთა მწკრივი.

ტირიფის ტოტზე „კაფე-თესეს" ხმობდა გუგული
და გალახები მისდევდნენ ყველას,
ვინც კი გარბოდა.

ბორის კორნიენკო,
ჩერკასის ოლქის, კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონის სოფელ მორინცის მე-8 კლასის მოსწავლე.

11585

# სიხარული

მოთხრობა

ისეთი მზიანი, ნათელი და თბილი დღე იყო, გული დნეპრის სანაპიროსაკენ მიიწევდა. მაგრამ — დღეს დიდი დღესასწაულია, განსაკუთრებით ჩვენთვის. მთელი რაზმი საზეიმო ხაზზე გამწკრივდა. მესამე „ა" ჯგუფის ოქტომბრელებს პიონერთა რიგებში იღებდნენ. მალე ჩაკბერეს საყვირს, გაისმა ბრძანება, ბავშვებმა დადეს პიონერული ფიცი და ჩვენ მათ წითელი ყელსახვევები გავუკეთეთ.

ხელმძღვანელმა თქვა:

— ძვირფასო პიონერებო! შეხედეთ, რა ლამაზია ჩვენი სკოლა, როგორი შენობები აღიმართა ხრიოკებზე. ვინ მოგვცა ჩვენ ეს?

— საბჭოთა ხელისუფლებამ! — ვუპასუხეთ ერთხმად.

— საბჭოთა ხელისუფლება კი სისხლიან ბრძოლებში მოიპოვეს და დაიცვეს თქვენმა ბაბუებმა და მამებმა, ამხანაგ ლენინისა და სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ბევრი მათგანი დაიღუპა, ბევრი ისევ ცხოვრობს ჩვენ შორის, ყოველ ქუჩაზე, თითქმის ყოველ სახლში. მოძებნეთ ისინი, შეისწავლეთ მათი საბრძოლო წარსული. თუ რომელიმე მოხუცია და უმწეო, — დაეხმარეთ. აი, ნადია კლიმენკო, რომელიც დღეს მივიღეთ პიონერთა რიგებში, უკვე ორი წელიწადია მეგობრობს ყოფილ პარტიზანთან.

ეძებეთ იმ ლეგენდარულ დღეთა გმირები, ჩაიწერეთ მათი მონაყოლი — ეს იქნება ცოცხალი და შესანიშნავი წიგნი ჩვენი ხალხის გმირობაზე.

როგორც კი საზეიმო შეკრება დამთავრდა, ჩვენ ერთბაშად მივაწყდით მესამე კლასს და ნადიას შემოვეხვიეთ.

— ნადეიკა, მოგვიყევი შენს მეგობარ პარტიზანზე, — ვთხოვეთ ყველამ.

ნადიამ დაიწყო:

— ჩემს ნაცნობ პარტიზანს პავლო ივანოვიჩს ეძახიან, იგი პარტიზანად ჭაბუკი წავიდა, პირდაპირ სკოლიდან. ერთხელ მეთაურმა უთხრა: „პავლიკ, მიკოლასთან ერთად დაზვერვაზე წახვალ". მიკოლა პავლო ივანოვიჩის მეგობარი იყო, ისინი სკოლაში ერთად სწავლობდნენ, ახლა კი ერთად ომობდნენ.

ჰოდა, წავიდნენ ისინი მინდორ-მინდორ, ქარაფ-ქარაფ, ტყე-ტყე. ის-ის იყო შევიდნენ ტყეში, როცა თვალი მოჰკრეს ფაშისტებს. ისინი ურიცხვი იყვნენ. ბიჭები შემობრუნდნენ. ფაშისტებმა სროლა ატეხეს. დაჭრილი მიკოლა დაეცა. ეუბნება მეგობარს: „პავლიკ, შენ მოუსვი, მე წოლელა განვაგრძობ სროლას. სანამ შენ ჩვენებთან მიაღწევ, ფაშისტებს შევაჩერებ".

— არა მეგობარო, — უთხრა პავლო ივანოვიჩმა, — არ დაგტოვებ მტრის ხელთ, ზურგით წაგიყვან...

მტერი ტყეში ღრმად შემოსვლას ვერ ბედავდა. უთუოდ, შიშობდნენ პარტიზანების დაგებულ მახეში არ მოვხვდეთო. სროლას კი არ წყვეტდნენ.

როცა ქანცგამოლეულმა პავლომ ვეღარ შეძლო დაჭრილი ამხანაგის ტარება, დააწვინა მიწაზე მიკოლა და თვითონ ცეცხლი გაუხსნა ფაშისტებს. უცებ ფეხში მწვავე ტკივილი იგრძნო. დახედა. სისხლი მოჟონავს. მან ისევ განაგრძო სროლა...

საბედნიეროდ, პარტიზანებმა მოუსწრეს, უკუაქციეს ფაშისტები. მიკოლა და პავლო გადარჩნენ. მხოლოდ, პავლო ივანოვიჩმა ფეხი დაკარგა.

— ახლა მე მასთან დავდივარ, — გააგრძელა თხრობა ნადეიკამ, — იატაკს ვურეცხავ ხოლმე, მაღაზიაში ვეგზავნები რაღაც-რაღაცეების საყიდლად.

პირველად დიდ უარზე იყო. „არაა საჭირო, მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავსო" — ამბობდა. მე კი ვამჩნევ, უჭირს, ძალიან უჭირს. ვეუბნები: „გზად გამოგიარეთ, დედამ გამგზავნა საყიდლებზე, იქნებ თქვენც რამე გჭირდებათ!" მან იმდენი საინტერესო რამ მიამბო ომზე და ფრონტელ მეგობრებზე, რომ შეიძლება ერთი დიდი წიგნი დაიწეროს!

ნადეიკა გაჩუმდა, მერე ჩვენ შემოგვხედა:

— იგი ძალზე კეთილი კაცია. მითხრა: მალე სახელმწიფო მანქანას მომცემენ, წაგიყვან ტყეში და გაჩვენებ იმ ადგილს, სადაც ვიბრძოდითო. თუ გსურთ, თქვენც გაგაცნობთ მას.

— გვსურს! წაგვიყვანე მასთან! — შევძახეთ ერთხმად.

— მოდით, ახლავე წავიდეთ! შევამოწმოთ, მართალს ამბობს თუ არა. იქნებ ისე შორს ცხოვრობს, რომ ვერც მივაგნოთ? — ეჭვიდნულად იკითხა ვადიკმა.

— ზუსტად თქვენს ქუჩაზე ცხოვრობს, თქვენი სახლიდან მესამე სახლში, — გაბრაზებით უპასუხა ნადეიკამ, — მეოცე ბინაში.

— ცრუობ, სახე მოექცა ვადიკს, —მე იქ ყველას ვიცნობ, ასეთი ვინმე მე არ გამიგია.

— პიონერულ სიტყვას გაძლევთ, — პირველად წარმოთქვა ეს სიტყვა ნადეიკამ და დაიმორცხვა. წამომყევით — ნახავთ.

ქუჩაში გამოვეფინეთ.

— ფრთხილად, აქ თხრილია! აუზს გვიშენებენ, — აგვიხსნა ნადეიკამ. ეზო სავსე იყო მილებით დატვირთული მანქანებით. არც ფეხით შეიძლებოდა გავლა, არც მანქანით.

გადავლახეთ ყველა დაბრკოლება და მოასფალტებულ სპორტულ მოედანზე გავჩერდით. და იქნებ, ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო, იმ წუთას ქუჩის ბოლოდან რომ არ დაეძახათ:

— ნადეიკა, ნადეიკა, მამაშენი ჩამოვიდა.

— მაპატიეთ, გავიქცევი, თქვენ თვითონ მოძებნეთ პავლო ივანოვიჩი. მეოცე ბინაში ცხოვრობს.

— რატომ გაგვექცა? — უკმაყოფილოდ იკითხა ვადიკმა.

— ვერ გაიგე?! მამამისი ჩამოსულა, იგი ჩრდილოეთ პოლუსზე მუშაობს. — აუხსნა საშკომ.

ვადიკმა ბიჭებს თვალი ჩაუკრა: — უმისოდაც მოვძებნით.

— კი მაგრამ, რას ვეტყვით პავლო ივანოვიჩს! — იკითხა ლოყებგამობუშტულმა ტოლიკმა.

— როგორ რას? — ამაყად წამოიწია წინ ვადიკმა. — ვეტყვით, რომ გვინდა მასზე შეფობა ვიკისროთ, დავეხმაროთ, როგორც ყოფილ მეომარს.

— შენ, დედაშენს თუ ეხმარები? — ჩაიხითხითა ტოლიკმა.

— რა შენი საქმეა! — იფეთქა ვადიკმა და თეთრი წარბები ზე აწკიპა. — სახლი სხვაა, შეფობა სულ სხვა. მონახა შედარება!..

მე საერთოდ არ მომწონდა, ვადიკი ცხვირს რომ მაღლა იწევდა, ყველგან წინ სურდა ყოფილიყო, ბრძანებები უყვარდა.

— აბა, სმენა! — გასცა მან განკარგულება. — მომყევით! ნაბიჯით იარ! ის-ის იყო დავიძარით, რომ უკან ძრავის თუხთუხი გაისმა. მივიხედეთ მოედნისაკენ მიემართებოდა ახალი, ცისფერი „ზაპოროჟეცი“, რომლის სამზერ მინაზე წითელ სამკუთხედში ჩახატული იყო ასო „P“ ...საჭესთან მჯდომი ცდილობდა სახლთან მიეყვანა მანქანა, მაგრამ სამანქანო გზა გადათხრილი იყო. გორაკებად ეყარა ქვიშა. ერთადერთი თავისუფალი ჩვენი სპორტული მოედანი იყო.



მანქანაც აქეთ მოდიოდა. მძღოლი დაჟინებით გვიმზერდა, ვეებერთელა ხელებში საჭე მაგრად ეჭირა. მანქანა მოედანს მოუახლოვდა, სიგნალი მოგვცა, — გასავლელს ითხოვდა. ჩვენ კი გაუნძრევლად ვიდექით.

კაცმა მანქანა გააჩერა, რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა, მერე მოგვაცქერდა, თითქოს ცდილობდა გამოეცნო იგი, ვისი სინდისიც ადრე გაიღვიძებდა. შემდეგ მინა ჩამოსწია, მანქანიდან თავი გამოჰყო და კეთილი ღიმილით თვალი ჩაგვიკრა:

— ბიჭებო, გამატარეთ, სხვა გზით ვერ გავალ.

— აბა, სცადეთ, — მანქანას წინ გადაუდგა ვადიკი, დოინჯი შემოიყარა და მძღოლს მიმართა: — თქვენ უფლება არა გაქვთ გაიაროთ საბავშვო მოედანზე. მოძრაობის წესები არ იცით და თავს მძღოლად ასაღებთ! ეს ქუჩა კი არ გეგონოთ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა მხრები აიჩეჩა და დამნაშავესავით თქვა:

— მართალს ამბობ ბიჭუნავ, მაგრამ სხვა გზა არაა, ხომ ხედავ. როგორ მივიდე სახლამდე?

— ეგ რა ჩვენი საქმეა? — ქედმაღლურად ასწია თავი ვადიკმა. — აქ ჩვენ ვართ ბატონ-პატრონები.

მძღოლი წამოჭარხლდა. სახე მკაცრი გაუხდა.

მე ვადიკს ვუყურებდი. მას თვალები ბოროტად უელავდნენ. ხელები მაგრად მოემუშტა, თითქოს სურდა თავისი სიმამაცე დაემტკიცებინა. შემდეგ ზიზღით გაიქნია თავი, ქვას ხელი დასტაცა და მანქანას ესროლა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა.

— რაო, შეშინდით?

უცებ შემრცხვა საკუთარი თავისა, თანაკლასელებისა და ვადიკის საქციელის გამო. კაცმა ნაღვლიანი, გამჭოლავი მზერა გვესროლა, კვლავ გამოჰყო მანქანიდან თავი და გაიცინა. მაგრამ არა ისე თბილად, როგორც პირველად, ამ ღიმილში ფარული ტკივილი ჩანდა.

— რას იზამ, გამარჯვება თქვენია. მამაცი ყმაწვილები ჩანხართ.

ის, რაც მან ბოლომდე არ თქვა, უფრო მომხვდა გულზე, მგონი ჩემს მეგობრებსაც. მე ვერ დავინახე სიმამაცე ვადიკის საქციელში.

კაცმა მანქანა უკუსვლით წაიყვანა, ბორბლები გაასწორა, ჩვენ გვერდი აგვიარა და პირდაპირ თხრილისკენ წავიდა. ჩვენ სუნთქვაშეკრული ვიდექით. მანქანის ერთი მხარე ზედ თხრილზე ეკიდა. საჭის ოდნავი გაუფრთხილებელი მოძრაობა და მანქანა სამი მეტრის სიღრმის თხრილში აღმოჩნდებოდა...

ვხედავდი, როგორ გამოჟონა ჭაღარა საფეთქლებიდან ოფლის მსხვილმა წვეთებმა. მინდოდა მეყვირა, ვცემოდი ვადიკს, გამეგდო იგი მოედნიდან. გაქვავებული ვიდექი და ვუყურებდი ბეწვის ხიდზე შემდგარ მანქანას.

„იქნებ იგი ფრონტზე იყო, ებრძოდა ფაშისტებს, გამოიარა ათასი სიკვდილი, რომ დღემდე მოეღწია, ახლა კი ჩვენი გულისთვის უნდა დაიღუპოს"...

ბედად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მანქანა ტროტუარზე ძრავის ძაგძაგით გაჩერდა. მძღოლი უძრავად იჯდა. იგი ვერც ჩვენ გვამჩნევდა, ვერც სახლს, ვერც კრიალა ზეცას...

— წავედით! — გამარჯვებულის იერით თქვა ვადიკმა. ჩვენ დუმილით ავუარეთ გვერდი მანქანას და სადარბაზოს მივადექით. შესასვლელთან მეეზოვე ქალი იდგა.

— დეიდა, გვითხარით, გეთაყვა, სად ცხოვრობს აქ პავლო ივანოვიჩი. ყოფილი პარტიზანი, სამამულო ომის ინვალიდი, — შეეკითხა მას ვადიკი, — ჩვენ დასახმარებლად მოვედით. გვინდა შეფობა ვიკისროთ.

ქალმა გაოცებით შემოგვხედა, „ზაპოროჟეცში" მჯდომ კაცზე მიგვითითა და გვითხრა: — აგერ პავლო ივანეს ძე ხარნიუკი, ვერა ხედავთ?! დღეს მას დიდი სიხარული ეწვია — სახელმწიფომ მანქანა მისცა... ამიერიდან აღარ გაუჭირდება... აქ რას უდგეხართ? ხომ ხედავთ, როგორი გზაა, რაკი შეფობა გიკისრიათ, ქვები და რკინები მაინც მიალაგეთ...

თავი ჩავქინდრე. განუზომელმა ტკივილმა დამიარა სხეულში. ბიჭებს შევხედე... თვით ყოყლოჩინა და ამპარტავანი ვადიკიც შემცბარი და შეშფოთებული თვალებით იყურებოდა...

გ. კუზმა.

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.

ანდრეი ნიმენკო



მხატვარი
გ. მღებრიშვილი.

მწუხრის ჩუქურთმით მოირთო ჭალა,
ირგვლივ სიჩუმე დგას საკვირველი.
მთის სურნელება აცოცხლებს ბალახს
და ცაა, როგორც ლურჯი ფრინველი.
მანათობელის მიმქრალი სხივი
ქედების მიღმა ეძებს სავანეს
და ზეცას, როგორც მსუბუქი მძივი,
მიაქვს გოვერლას[1] თეთრი თავანი.



ღამემ თითქოსდა შეკრა ქამრებით
ძნით მოფენილი, უსაზღვრო სტეპი.
გადაიქანცა ქარი თავნება
და ზვინებს მიღმა დაკეცა ფრთები.

მთვარეს კვალდაკვალ მისდევს ღრუბელი,
ვით დარწეული, მსუბუქი კვამლი
და ველზე, როგორც ცხენი უბელო,
ჩანს ჩუქურთმიან ჩრდილების კვალი.



მოწოწიალე ღრუბლები შეჩერდნენ ყანის თავზე,
ჟუჟუნა წვიმით დანამეს მტვრით დაფარული გზები.
ხორბალმა ვეღარ დამალა თავისი სილამაზე
და სველი ცისკენ აზიდა კაზაკის ულვაშები.
შეიფრთხიალა ზეცაში ურიცხვ ფრთოსანთა გუნდმა
და ცისარტყელა გაბრწყინდა მზისა და წვიმის ფერად.
ბედნიერებამ ველების უბეში დაიბუდა,
მე, ასე წვიმად მოსული, ბედნიერების მჯერა!

[1] გოვერლა—კარპატის მთების უმაღლესი მწვერვალი.



# კლდეებისა და სიკვდილის პირისპირ

ფრონტული ჩანაწერებიდან

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და იგი კლდის მიღმა აღმოჩნდებოდა. მერე სამშვიდობოსკენ გზა ხსნილი იყო. მოულოდნელად ნაღმი აფეთქდა. აფეთქების ტალღამ იგი ისე დააბრმავა, რომ კინაღამ გონება დაუკარგა. „ცოცხალი თუ ვარ?“.. — ოდნავ გონს რომ მოეგო, ფეხის განძრევა სცადა. „თითქოს ცოცხალი ვარ“. უცებ მარცხენა მხარში საშინელი ტკივილი იგრძნო, გეგონებოდა დანით სერავენო. ეტყობა ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა...

დახანება არ შეიძლება! მან მთელი ძალით გასწია პერანგი და იღლიასთან საკმაოდ მოზრდილი ნაწილი მოახია. სასწრაფოდ, ისე, როგორც შეეძლო, შეიხვია მხარი და კლდისაკენ ხოხვა განაგრძო!..

იქ კი, საიდანაც ვანო უღელტეხილისკენ გაემართა, ბრძოლა არ წყდებოდა. მისი დასასრული ახლა იმაზე იყო დამოკიდებული, მიასწრებდა თუ არა ბიჭუნა დროზე თავისიანებთან. ბიჭის მთელი არსება ახლა მხოლოდ ერთ აზრს შეეპყრო: მოასწროს, მოასწროს!..

ტყვიამფრქვევის კაკანი სულ უფრო და უფრო სუსტად ისმოდა. ტყე, ხშირი ბუჩქნარი და ხრამები ახშობდნენ სროლის ხმას. და თუმცა ვანო ფიქრით მათთან იყო, ვისთანაც დავალებით მიისწრაფოდა, მხედველობიდან არ უშვებდა ხეობაში დარჩენილებს... შეძლებენ თუ არა ისინი გამკლავებას, სანამ ვანო დავალებას შეასრულებს?

იქნებ სერჟანტმა არ უთხრა ყველაფერი?..

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა: ვანოსაგან დამოკიდებულია არა მარტო იმ მამაცთა სიცოცხლე, რომლებმაც მტერი ხეობაში შეიტყუეს. არა, არა მარტო ეს. რაღაც გაცილებით მნიშვნელოვანი...

...ოღონდ მხარი არ ექცეს, გზა არ აებნეს!

ვანო კარგად იცნობდა იქაურობას. ტყუილად როდი თვლიდნენ მას საუკეთესო ჭაბუკ ალპინისტად საქართველოში. იგი განსაკუთრებით გამჭრიახი და თამამი იყო ქარაფებზე. იქ, სადაც ჯეირანიც ვერ გაბედავდა გადახტომას, ვანო გამოსავალს მოძებნიდა. ეს ალბათ გაითვალისწინა სერჟანტმა, როცა იგი მნიშვნელოვანი დავალებით გაისტუმრა.

მართალია, ყმაწვილს მოეჩვენა, რომ მას ერთგვარი უნდობლობით მოეკიდა ფარაჯიანი ბიჭუნა, რომელიც სერჟანტს ახლდა. მას კარპოს ეძახდნენ. იგი ჰყვებოდა, რომ ჩვენს ქვეგანაყოფებთან ერთად კარპატებიდან ჩრდილოეთ კავკასიამდე გზა ბრძოლებით გამოიარა. უცნაური ბიჭი ჩანდა კარპო... მიატოვა სახლკარი, მშობლიური კარპატები და არმიას შეუერთდა. ამბობდა: კავკასიაც ჩემი სახლია, თუ აქ მოვახერხეთ ფაშისტთა დამარცხება, კარპატებიც შვებით ამოისუნთქავენო. ჰოდა, ომობდა კარპო, იცავდა თავის, როგორც თვითონ ამბობდა, კავკასიას ჰიტლერელთა შემოსევისაგან. მზვერავი გახდა.

სამხედრო ნაწილამდე სადაც ვანოს ცნობა უნდა მიეტანა, სულ ცოტა მანძილი რჩებოდა. ოღონდ არ დაეცეს, უღონობისაგან ფეხები არ მოეკვეცოს... დაღლილობა კი სულ უფრო საგრძნობი ხდება, მუხანათურად ეუფლება მთელ სხეულს... ალბათ ჭრილობა კარგად ვერ შეიხვია, ბევრი სისხლი დაკარგა... ერთი პატარა გადასასვლელიც და გზა დასრულდება! აქედან, სადაც ახლა ვანო იმყოფებოდა, ხელისგულივით ჩანდა ის მიდამო, სადაც მან მამაცთა რაზმი დატოვა. ეს იყო ტაფობი, რომელიც უღელტეხილს ემიჯნებოდა. ტაფობის ორივე მხარეს ქარაფები აღმართულიყო. მათი გადალახვა შეუძლებელია. მაგრამ სერჟანტს, რომელიც ბრძოლებით იხევდა უკან, თავის რაზმი რატომღაც აქეთკენ, მიუვალ კლდეებისაკენ მიჰყავდა. მიუხედავად მტრის რიცხობრივი უპირატესობისა, მას ადვილად შეეძლო ხეობისთვის გვერდი აეხვია და რაზმი ტყისთვის შეეფარებინა. აქ კი ისინი გარდუვალი სიკვდილის პირისპირ დგანან... სერჟანტ პიდოპლიჩკას რაზმი ავტომატებისა და ხელის ტყვიამფრქვევთა ცეცხლქვეშ გადარბოდა ვიწრო, კლდოვანი დერეფნისკენ. წვიმასავით მოდიოდა მომხდურთა ტყვია. ისინი თითქოს ურიცხვნი იყვნენ — მაღლიდან ვანო ყველაფერს ხედავდა.

ჩქარა, ჩქარა, წინ, ჩვენებთან!.. ოღონდ არ დაეცეს, არ დაეცეს!...

* * *

როცა ვანო დვალი მოსულიერდა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა. მის წინ კარპო იდგა.

— მეგობარო, ჩვენ შევასრულეთ დავალება! — ოდნავ დამნაშავის კილოთი, მაგრამ მხიარულად ამოთქვა ნორჩმა მზვერავმა.

— მაგრამ... ვანოს რაღაცის თქმა უნდოდა.

— ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭირო იყო! შენ დროზე მოასწარი! მხოლოდ, მე, ხედავ... ერთი სიტყვით, შენს გარდა იგივე დავალება მეც მქონდა მოცემული. ჩვენებმა დროზე მოასწრეს, სერჟანტმა მტერი განზრახ შემოიტყუა ჩიხში. მაშველებმა ფლანგებიდან დაარტყეს. არც ერთი ფაშისტი არ წასულა ცოცხალი იმ ხეობიდან!...

**ი. მიხლიკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან:
„პატარა მოთხრობები ლენინზე“.

# პირდაპირი გზით

ვლადიმერ ილიას ძისადმი მიძღვნილი სურათების გამოფენა. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბიჭუნა ახლავს, ჩერდება ჟუკოვის სურათთან „ჩიტები გალობენ“.

...დათოვლილი პარკი. ოდნავ შეფიფქული შიშველი ხეები. უკაცრიელი სივრცე. წინა პლანზე ლენინი. ვლადიმერ ილიას ძე ზამთრის მზის მკრთალ სხივებს გაზეთით იჩრდილებს და ოდნავ მოჭუტული თვალით აკვირდება ტოტზე მჯდარ ფრთოსან მგალობელს.

— დედა, შეხედე, ლენინის ფეხსაცმელები მთლად თოვლშია ამოგანგლული. ეტყობა იგი აქეთ ბილიკით კი არა, პირდაპირი გზით მოდიოდა.

— შენ სწორად შენიშნე, ჩემო ბიჭუნავ. იგი აქ პირდაპირი გზით მოვიდა. იგი ყოველთვის პირდაპირი გზით მოდიოდა.

ზინაიდა ბერეზინა.

# სპილო, რომელსაც ცეკვა უყვარდა

ზღაპარი

ცხოვრობდა ზოოპარკში პატარა სპილო. ჰქონდა მაღალი ფეხები, მოკლე კუდი და სასაცილოსასაცილო ხორთუმი.

სპილო მუდამ აღტაცებული იცქირებოდა ვოლიერს იქით — იქ დედა ფარშავანგი ცხოვრობდა თავისი წიწილებით. ეს ფარშავანგი ზოოპარკის პირველი ბალერინა იყო. სწორ ფეხებს საოცრად ჰაეროვნად, მსუბუქად დააბიჯებდა. ტანთ კი ისეთი ზიზილ-პიპილო, ბრჭყვიალ-ბრიალა კაბა ემოსა, უკეთესს, ალბათ ვერც ერთი ბალერინა ვერ ინატრებდა.

ზოოპარკის ახლოს სახლი იდგა. იმ სახლიდან დღემუდამ საოცარი მუსიკა ისმოდა. მოჰკრავდა თუ არა დედა ფარშავანგი ამ მუსიკას ყურს, შვილებს მწკრივში ჩააყენებდა და გასძახებდა:

— ცოცხლად! ცეკვა დავიწყოთ!

ოჰ, როგორ შენატროდა პატარა სპილო პატარა ფარშავანგებს! კამფეტის ტკვერაც კი აღარ ჰგვრიდა სიამოვნებას. ოღონდ ასეთი ცეკვა ესწავლა, ოღონდ ესწავლა ფეხების კოხტად აწევა, მსუბუქად ჩაჯდომა, ცალ ფეხზე ტრიალი და მეტი აღარაფერი უნდოდა. და აი, ერთხელ ღამით, რომ არავის დაენახა, სპილომ ცეკვის სწავლა დაიწყო.

ღამე კი იყო, მაგრამ მაიმუნმა გორილამ მაინც დაუტატანა:

— ეჰეი, შენ მანდ! რას დაბაჯბაჯებ ბოძებივით ფეხებზე! სიზმარში აფრიკის ჯუნგლებში ვიყავი რა ძილი გამიფრთხე!

დაღონდა, ლამის ცრემლიც კი წასკდა. სპილოს, თუმცა პატარა იყო, მაგრამ ხასიათი ჯიუტზე-ჯიუტი ჰქონდა. დააკვირდა როგორ ჰკეტავდა დარაჯი ღამით მის ვოლიერს.

დააკვირდა და ერთ მშვენიერ დღეს, დილაბინდში, ხორთუმით გასწია ურდული და ფეხაკრეფით გავიდა ეზოში.

არავინ შემამჩნიოსო, ფრთხილად მიაბიჯებდა. მიდიოდა იქით, საიდანაც საამური მუსიკა ისმოდა ხოლმე. იქ სახლი იდგა, ფართო ფანჯრებიანი სახლი. სპილოს რომ კითხვა შესძლებოდა, აბრაზე წაიკითხავდა: „საბალეტო სტუდია“.

„უჰ, რა ლამაზი გალიაა! — გაივლო გულში სპილომ, — ეგებ მეც შემიშვან შიგ?“

ხორთუმით სახელურიც კი მოსინჯა, მაგრამ კარი არ გაიღო.

„ალბათ ჯერ ადრეა“, — ჩაილაპარაკა და იქვე, სკვერში გაისეირნა.

ბოლოს, როგორც იქნა გაისმა მუსიკის ხმა, სპილო ისევ მიადგა შენობას. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მაგრამ ეს რაა? სპილომ კარში თავიც კი ვერ შეჰყო. მობრუნდა და ღია ფანჯარაში შეიხედა.

ოთახში მუსიკის ხმაზე გოგონები ცეკვავდნენ. გრძელი ძელისათვის ჩაევლოთ ხელი კედლის გასწვრივ. ხან ჩაბუქნიდნენ, ხან მაღლა ასწევდნენ შხვართ ფეხებს.

სპილომაც ჩაბუქნა, რიგ-რიგობით ასწია ფეხები. მერე მიიხედმოიხედა, ერთი დამინახონ, — ვითომ ამ გოგონებზე უკეთ ვერ ვცეკვავო!

შორიახლო ბიჭები იდგნენ, ჩან-



თებით ხელში, იდგნენ და ხარხარებდნენ.

— რა უცნაური სპილოა!

— დახე, როგორ სასაცილოდ ცეკვავს!

— აუ! უუ!

სპილოს საშინლად ეტკინა გული. მოტრიალდა და ზოოპარკისაკენ წაფრატუნდა. მერე ღამით, როცა ცხოველებს ეძინათ, სპილო გულამომჯდარი ატირდა.

— რა უბედური ვარ! არავის არ მოსწონს ჩემი ცეკვა! ნუთუ მართლა ასე ცუდად ვცეკვავ?! — ოხრავდა და ხვნეშოდა დილამდე, ცრემლს იწმენდდა პატარა ხორთუმით.

დილით, ვოლიერის წინ ზოოპარკის დირექტორი იდგა. იგი მარტო არ იყო: ვიღაც კაცი ახლდა, ჭაღარა, ჭილისქუდიანი კაცი.

— როგორც იქნა! — წამოიყვირა მან, — როგორც იქნა ვიპოვე შესაფერისი სპილო.

ზოოპარკის დირექტორმა ხელები გაასავსავა.

— არა, ბატონო მომთვინიერებელო, არა და არა! სცდებით! ჩვენი სპილო ამ სადგომს არასდროს გასცილებია, გარეთ რა უნდოდა! სპილო ლეკვი ხომ არ არის, ქალაქ-ქალაქ რომ ისეირნოს! ცეკვით კიდევ ...სად სპილო და სად ცეკვა!

ჭილისქუდიანი, ჭაღარა კაცი დაღონდა.

— უჰ, როგორ ვნანობ, რომ ტროლეიბუსი ჩქარა მიდიოდა. სპილოს თვალი ძლივს მოჰკრა. სამწუხაროა, ეტყობა, ეს მართლაც არ არის ის სპილო, დილით, ქუჩაში, დიდი ამბით რომ ბუქნავდა.

„ის მე ვარ, მე! — ფრუტუნებდა პატარა ხორთუმით სპილო, — მე ვიყავი დილით რომ ვცეკვავდი!“

ახტა-დახტა, აკუნტრუშდა, პროპელერივით დაატრიალა კუდი.

— კი, ნამდვილად ის სპილოა, — გაუხარდა სტუმარს, — ეს, ის მოცეკვავე სპილოა, ის!

— თუ ასეა, ბატონო მომთვინიერებელო, წაიყვანეთ! — ზოოპარკის დირექტორმა ვოლიერის კარი გამოაღო.

ასე დატოვა სპილომ ზოოპარკი.

მიაბიჯებდნენ ქუჩაში, წინ მომთვინიერებელი, უკან სპილო.

მიშრიალებდნენ ქუჩაში მანქანები, აყვირებდნენ საყვირებს, ცნობისმოყვარე შოფრები იცქირებოდნენ კაბინებიდან. შუა ქუჩაში კი არხეინად მიაბიჯებდნენ მომთვინიერებელი და პატარა სპილო. ყველანი გზას უთმობდნენ, ტროლეიბუსებიც კი, მაღალი, მსხვილი ტროლეიბუსები.

— აი, აქ იცხოვრებ და ისწავლი ცეკვას! — თქვა ბოლოს მომთვინიერებელმა და მრგვალ, თაღოვან შენობაზე მიუთითა.

სპილო თავისუფლად შევიდა ამ შენობაში. ზოოპარკივით, იქაც დიდი გალიები იყო. გალიებიდან გაკვირვებული იცქირებოდნენ ფაფარაყრილი ლომები, ზოლებიანი ვეფხვები, რუხი დათვები. მისჩერებოდნენ სპილოს, თავიანთთვის რაღაცას ბურტყუნებდნენ, სპილოს ესალმებოდნენ.

პატარა სპილოც მიესალმა გალიების ბინადართ — ახალ მეზობლებს ხორთუმი აუქნია.

მომთვინიერებელმა ყველაზე დიდ გალიასთან მიიყვანა.

— ამიერიდან აქ იცხოვრებ. ახლა არენას გიჩვენებ.

წუთიც და სპილო ნახერხმოყრილ, მრგვალ მოედანზე აღმოჩნდა. მოედანი დაბალი კედლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო შემორკალური. მრგვალი კედლის იქით კი, თითქმის ჭერამდე, სკამების რიგები ადიოდა.

— ახლა ჩვენ ვარჯიშს დავიწყებთ, — თქვა მომთვინიერებელმა, — გთხოვთ მუსიკოსებო! — შესძახა ვიღაცას მაღლა, — შენ კი სპილოვ, ყურადღებით მისმინე და რაც გაჩვენო, გაიმეორე. ჯერ ფეხის მოღუნვა და მაღლა აწევა ისწავლე.

ასე დაიწყო ჩვენმა სპილომ ცირკში ცხოვრება.

ცეკვა უყვარდა და ცეკვავდა. ერთხელ წინა ფეხებზე რომ შედგა და უკანა ფეხები ჰაერში აათამაშა, გაიფიქრა, მოდი, რა იქნება ერთი თავზე დავდგებიო. დადგა კიდეც. დადგა და იმწამსვე უკან გადაგორდა. ისე დაეხეთქა, რომ მუსიკოსებმა გაოცებულებმა გადმოიხედეს ძირს — ასეთი ბაგუნა დოლი ვინ მოიტანაო! სპილოს ისე ეტკინა და შერცხვა, რომ მომთვინიერებელს სახეში ვერ უყურებდა.

— სად გინახავს მოცეკვავე, თავზე დგებოდეს? — ბუზღუნებდა მომთვინიერებელი, — რას გავს ეს! მე შენ მოცეკვავედ გზრდიდი და არა აკრობატად. სადაა პრემიერა გვექნება, შენ კი ყირაზე გადადიხარ.

ასეთი სიტყვები ჩვენს სპილოს მანამდე არსად გაეგონა და ღამით ზოლებიან ვეფხვს ჰკითხა, რას ნიშნავსო.

— ოჰო! — დააბრიალა ზოლებიანმა ვეფხვმა ყვითელი თვალები, — შენ უკვე მზად ხარ გამოსასვლელად?!

მას კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ეტყობა ვერ მოახერხა და უხერხულად შეუნაცვლა ფეხი-ფეხს.

აჰა, დადგა კიდეც პრემიერის დღე. სპილომ ფარდის ნახვრეტში გაიხედა, ცირკი ხალხით იყო გაჭედილი.

არენაზე მაღალ-მაღალი, შავკოსტუმიანი კაცი გამოვიდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— არაჩვეულებრივი ნომერი — მოცეკვავე სპილო!

პროჟექტორის შუქმა თვალებში შეანათა. განაბული იჯდა ხალხი. გრიალებდა მუსიკა.

დაიბნა პატარა სპილო. მუსიკა უკრავდა, ის კი ამოდენა ხალხის



თვალწინ გაშეშებული იდგა!

ამ დროს ნაცნობი, კეთილი ხმა მოესმა:

— ნუ გეშინია, კარგად იცეკვებ!

ეს მომთვინიერებლის ხმა იყო.

— ნუ ღელავ, მარცხენა წინა ფეხი წინ გადგი, მარჯვენა უკანა, ადგილზე ათამაშე.

მომთვინიერებელმა მუსიკოსებს ნიშანი მისცა, სპილოს მოძრაობას დააკვირდითო.

სპილომ გადადგა მარცხენა წინა ფეხი, უკანა მარჯვენა ადგილზე აათამაშა და... დაიწყო. სულაც აღარ შეშინებია. გაუსვა და გამოუსვა რაც შეეძლო. ჯერ ორი ფეხით, მერე ოთხივეთი ერთდროულად. წინა ფეხები მაღლა ასწია და მიატყუპა, თითქოს ტაშს უკრავდა.

დარბაზი ტაშის ცემამ აიკლო.

— ეს რა დიდებული მოცეკვავე ყოფილა! — ისმოდა ხმები.

როცა სპილო ცეკვას მორჩა, ირგვლივ ბავშვები შემოესივნენ. ეს ის ბავშვები იყვნენ, ქუჩაში რომ დასცინეს ერთხელ. ისინი ყველაზე მაგრად უკრავდნენ ტაშს და გაჰყვიროდნენ:

— ვაშა! ჩვენი სპილო ცეკვავს! ნამდვილი ბალეტის მსახიობი არ ყოფილა! ვაშა!..

სპილო ყველას თავს უკრავდა და ფიქრობდა:

„ნუთუ ეს მართალია! ნუთუ მართლა ასეთი მოცეკვავე ვარ! ნეტავი რას იტყოდა ჩემი ცეკვა ყველაზე განთქმულ ბალერინას — ფარშავანგს რომ დაენახა“.

**ი. იარმიში.**

მხატვარი ზ. ფოცხიშვილი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ირემო, ჩემო ქორბუდავ,
აგრემც გფარვიდეს შენა.
შენი ყვირილი მომწყურდა,
შენი უნაღვლო მზერა.

ბუნება უხვად გთავაზობს
ნეკერს,
ფოთლებს თუ წიწვებს...
არ დამიღონდე ლამაზო,
მოდი, ბალახი წიწკნე.

ფეხქვეშ გიგია მთა-ბარი,
ვრცელი ველი და მდელო...
შენი სამშობლოც აქ არი
და ჰქვია საქართველო.

**ნ. ნარსია**

ფოტოეტიუდი
ზურაგ დათუაშვილისა.

## ახალი წიგნები

შალვა გიგაშვილი

### თორმეტი მეკვლე

ალბათ იცით ვის ეძახიან მეკვლეს. მეკვლე ახალწლის დილით მოსული პირველი სტუმარია, რომელიც ტკბილეულით ხელსავსე ეწვევა ხოლმე ოჯახს, რათა იმისი ფეხი კარგად დაცადონ... მაგრამ მეკვლეს ხელჯოხი მოჰქონდეს ოჯახში, ეს კი არავის გაუგონია!

აი, ასეთი თორმეტი მეკვლე ეწვია ნატო ბებოს ახალწლის დილას!




მარტოხელა მოხუცს კი არავის მოლოდინი არა ჰქონდა, შვილი ქალაქში ჰყავდა დაბინავებული და აბა, სხვას ვის მოვაგონდებიო?

მაინც გააწყო სუფრა ლაზათისათვის, ტკბილი სიბერე დამეკვებოსო... და აი, უცებ ერთის მაგივრად თერთმეტი პატარა მეკვლე ეწვია ბებო ნატოს: გოჩა, მანანა, თაკო... მეთორმეტე ვილა იყო, ასე ძალიან რომ გაახარა მოხუცი? ვინ და... წაიკითხეთ ეს მოთხრობა და თავად შეიტყვეთ. პანკრუტა გოლას პანკრუტა დანის ჯადოქრობის ამბავიც არ გამოტოვოთ... წიგნში სულ ხუთი მოთხრობაა. მერე რა კარგი, რა დარბაისლური ქართულით დაწერილი!

ვაჟა ფშაველა

### ქუდოვანი

არ გაინტერესებთ შე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თ უ თ ა

თუთის ხე მრავალმხრივ სასარგებლო მცენარეა, ძველთაგანვე შეიყვარა ადამიანმა ის და „წმინდა“ ხე უწოდა; მის მომჭრელს თავს ჭრიდნენ. ახლაც სასტიკად აკრძალულია მისი მოჭრა უნებართვოდ. ამ ხეს კახეთში თუთას ეძახიან (მის უნაყოფო ჯიშს — ფურცელს), იმერეთსა და გურიაში — ბჟოლას და სამეგრელოში — ჯამპის.

ბოტანიკაში მას მორაცეების ოჯახის წარმომადგენლად თვლიან, მორუსის გვარისად. ამავე გვარს ეკუთვნის ქაღალდის ხე ანუ ბრუსონეცია, პურის ხე, ანჩარი, მაკლურა, ლეღვი, ბანანი და სხვა.

თუთის ხის ფოთოლი აბრეშუმის ჭიის ერთადერთი საკვებია. თუმცა ის სხვა მცენარეების ფოთლითაც იკვებება, მაგალითად: ცაცხვისა, იისა, სალათისა და სხვა, მაგრამ თუთის ფოთოლთან ვერცერთი ვერ მოვა, ამიტომ აბრეშუმის ჭიას მონოფაგი ცხოველი ეწოდება, ესე იგი ისეთი ცხოველი, რომელიც ერთი სახის საკვებით საზრდოობს.

თუთა მრავალწლიანი მცენარეა, მის სამშობლოდ თვლიან: ჩინეთს, ინდოეთს, ირანს, იაპონიას, ამერიკას და ამიერკავკასიას. ჩვენში — საქართველოში თუთის ხე ხარობს და იზრდება ზღვის დონიდან 1600 მეტრ სიმაღლემდე. უცხოეთიდან შემოტანილი და ჩვენი მეცნიერების მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშების გარდა, თუთის ხის ადგილობრივი ჯიშებიც არის გავრცელებული: ქართული ბჟოლა, ზღვის ბჟოლა, დადიანის ბჟოლა. ამიტომ საქართველო თუთის ხის მეორე სამშობლოდ არის ცნობილი. თუთის ხე, გარდა აბრეშუმის ჭიის საკვები ფოთლისა, სხვა მრავალ სიკეთესაც იძლევა.

აი რას გვაძლევს თუთის ხე:

დავიწყოთ ფესვიდან.

ფესვი გამოიყენება სანამყენე მასალად და მისგან მზადდება სხვადასხვა საღებავი და სამკურნალო საშუალებები. მერქნიდან — მუსიკალური ინსტრუმენტები, ნახშირი... ტოტიდან — ბამბა (ბოჭკო,) ქაღალდი, ლაფანი, ჭიგო... ფოთოლი ხომ აბრეშუმის ჭიის საზრდოა, სილოსადაც დებენ. ხოლო ნაყოფი, გარდა იმისა, რომ გემრიელი ხილია, მისგან მურაბაც მზადდება, კომპოტიც, ფელამუში, წვენი, ჩირადაც ახმობენ. იღებენ სპირტს, ძმარს, ღვინოს და, რაც მთავარია, თესლს ამ მცენარის გასამრავლებლად და მოსაშენებლად. თუთის ხე დეკორატული მცენარეა, ამიტომ განსაკუთრებით ლამაზია მისი ქარსაფარი, ნარგაობა და ცოცხალი ღობე.



**ანა ნემსაძე.**

---

იტყოთ, როდის აქეთ დაერქვა არწივის საბრძანებელს ქუდოვანი, ან რად დაერქვა? რატომ ეწვია კაჭკაჭი ფრინველთ მეფეს — არწივს? ნუთუ მართლა ყველის პატარა ნაჭრის ქურდბაცაცობა იყო კაჭკაჭის დიდი უბედურების მიზეზი, თუ... შეიძინეთ ეს წიგნი, გაამდიდრეთ თქვენი წიგნის თარო, წაიკითხეთ, ჩაუფიქრდით...

ზდენეკ სლაბი

## ს ა მ ი წ ი თ ე ლ ქ უ დ ა

ზდენეკ სლაბი ჩეხი მწერალია, რომელმაც თავისი მოთხრობებითა და ზღაპრებით თავი შეაყვარა ნორჩ მკითხველს.

ეს წიგნი მწერალმა საგანგებოდ ქართველ ბავშვებს გამოუგზავნა. ნეტავ რატომ დაარქვა „სამი წითელქუდა“? სამ გოგონას შორის მხოლოდ ერთია წითელქუდა, მეორე ყვითელქუდაა და მესამე კი — ცისფერქუდა!




ცირა ქიტიაშვილი

## ბ უ დ ე შ უ რ ი ს ა კ ი დ ო

დახედავთ ამ წიგნის ყდას თუ არა, უმალ მიხვდებით რომ ეს პაწია ლექსების კ რ ე ბ უ ლ ი თქვენს პატარა და-ძმას უნდა შეუძინოთ... და განა მარტო შეუძინოთ? თავისუფალ დროს გვერდით უნდა მოისვათ და გამომეტყველებით წაუკითხოთ თითო-თითოდ: „წვიმა მოდის“, „ნათია და ნატო“, „ობობა“ და სხვა... რომელიც ყველაზე ძალიან მოეწონებათ, ის კი, — ზეპირად დაასწავლოთ!..



**ე. კუბლაშვილი**

# მუზეუმი ცის ქვეშ

გინდათ ნახოთ ძველი საქართველო თავისი იშვიათი კოლორიტით, ნაგებობებით და გარდასულ ყოფაცხოვრებაზე ამეტყველებული რეალებით? მაშინ, ეწვიეთ ვაკის პარკს. კუს ტბის მიდამოებში მთის კალთებზე „შეფენილა“ ძველი საქართველო. მთის კალთები კავკასიის ქედს განასახიერებს, კუს ტბა შავი ზღვაა, ხოლო ზოტის ხევი, მტკვრის ხეობა. ეს დაბლობები კი უთუოდ კოლხეთია, როგორ წამომდგარან ოდა სახლები, მწვანე ხასხასა კოინდარში მწყრებივით განაბულან ისლით დახურული სამზადები. იქვე, ოსტატურად დაწნული მეგრული ფაცხა დგას. მის გვერდით კი — ლაზური, მოჩუქურთმებული ბეღელი. ბიჭოს, საბძელ-ბოსელიც არ დავიწყებიათ, თითქოს ძროხაც ბღავისო!

ამ „ზღვაზე“ კოლხური ხომალდები დასრიალებენ, ლელიანს შეჰფარებია მეკობრეთა კატარღა, აკვნებივით ირწევიან მეთევზეთა კარჭაპები, სადღაც გარეული ბატები ყიყინებენ და დაფარფატებენ ვერცხლისფერი თოლიები. გამოაყოლებ თვალს და ქართლ-კახეთის ბარს წაადგები. ერთ მხარეს ხელოსანთა რაბათია, დუქნები ჩარიგებულან, ნიავის ქროლვაზე ფრიალებენ ამქართა დროშები, ღია დარაბებიდან მოჩანს ჩოხა-ახალუხები, წუღა-მესტები, ლეკური და სატევარი, დამბაჩა და მაჭახელა. მზეზე თვალს გჭრის სადაფი და მინანქარი, ბზინავს გიშერი.



სამიკიტნოს წინ ერკემალი სადაცაა ჯაჭვს გაწყვეტს, ბაზარში ხმატკბილობენ დუდუკები, ნაბდიან რაჭველ მესტვირეს სევდა მორევია და საზეაჭრელებული სტვირის გუდას ბერავს.

ქალაქს სოფლები ებმის. აგერ, გუმბათმორღვეული ნატიფ-ჩუქურთმებიანი ეკლესია, ეკლესიის მიღმა სოფლის მოედანი. მოედნის განაპირას წყარო მორაკრაკებს, წინ ისეთი მთლიანი ქვის „ავაზანი“ უდგას, რომ შიგ კამეჩი ჩაწვება. წყაროს თავზე ვერხვის ფოთლები თრთიან. ფერდობს ბანიანი სახლები შეჰფენია.

გინახავთ ჯავახური დარბაზი? გარედან თითქოს არაფერიაო, შიგ შეხვალთ და გაოცდებით. ერდოდან ცისარტყელასავით ეშვება სინათლის სვეტი. აიხედეთ, დაუკვირდით ლატანთა ლამაზ წყობას, ეს ჩვენებური გვირგვინია — მსოფლიო არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში აყარზე კერის ჯაჭვი ირწევა. კერაში ჩამცხრალი ღველფი თვლემს, ვაჟკაცურად გაუშლია მხრები დედაბოძს. რაღა არ მოუხატავთ ზედ. ირმის რქებიც კი არ დავიწყებიათ!

დარბაზიდან ხულაში გახვალთ, ხელმარჯვნივ ტინისგან ნაკვეთი წალო-დოლაბია, ზედ ვეება დათვის ტყავი გდია. თუ ქვიტკირის ხაროში ჩაიხედავთ, არ შეშინდეთ, არც თუ ისე დიდია, ხუთ-ექვს ტონამდე ხორბალს ჩაიტევს, ძველად კი თურმე ტყვეებსაც ამწყვდევდნენ შიგ. „საციო“-მარანში, რომელიც ხულას ებმის, უამრავი დერგი და ქვევრია, კარაქის სადღვებელიც აქ დაუდვიათ, ხოლო კიდობნები და ლაზამბარი (ლაზური ამბარი) დარბაზში დგას. იქვე, ფართო „საქვე“-ტახტზე თვალს მოგწყვეტთ ნაირგვარად მოკაზმული ფარდაგები და ხალიჩები.



რატომ დაბნელდა? ერდო დახურეს და იმიტომ! მექანიკურმა საგდულმა უკუნი გაამეფა. ასე ხურავდნენ ერდოებს შიშიანობის დროს, მუხის კარებში კი მუხის ურდულს უყრიდნენ.

დარბაზი ანუ ერდოიან-გვირგვინიანი სახლი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, როგორც ძირითადი საცხოვრებელი შენობა. იგი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების სიამაყედ ითვლება.

ეს საქართველოს შუამთაა. აგერ რაჭა-ლეჩხუმი! თავს იწონებს ძველებური კათხა-სახლი, აქაო და ულურსმოდ ვარ ნაგებიო. ისეა „ჩასმულ-ჩაჭახრაკებული“, რომ ოსტატებს ლურსმანი არც კი დასჭირვებიათ. მხოლოდ ყავრისათვის დაუწყვიათ სამაგრად ქვები.

ეზოში მარანია და იცით რა მარანი? შიგ მთლიანი ხის უზარმაზარი საწნახლები დგას, თითოეული კაცის სიმაღლეა და იმ სიგრძეა, საცურაო აუზად გამოდგება. ჩარჭილა, მერე, სარცხი, ორშიმო და ხრიკა ხომ თავისთავად, უიმისოდ მარანი რის მაქნისია? ჭაჭის საწნეხ „წბერს“ გვერდს ვერ აუვლით: უზარმაზარი დირე ხრახნიან ისარზე ისე მოძრაობს, თითქოს ამწე იყოს, ეს კოდიო, ეს ტაბაკიო, ეს კაცაო, ოო, იმდენი ნაწილები აქვს, საკუთარი თვალით თუ არ ნახე, ვერაფერს გაუგებ.

შორს, მწვერვალზე ნისლი რომ ჩამოწოლილა, სვანური კოშკი დგას. შარშან დაამთავრეს მისი აგება. ახლა ხარაჩოებს ხსნიან. უფრო შორს კი ფშავ-ხევსურული და თუშური კოშკები უნდა აშენდეს და განა მარტო კოშკები, წამოდგამენ სახლებსაც, სახატეებსაც...

აი, ასეთი იქნება ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი. დღესდღეობით კი მხოლოდ რამდენიმე სახლი დგას: გურული ოდა, რაჭული კათხა-სახლი და ვარძიასთან მდებარე სოფელ ჭაჭკარიდან ჩამოტანილი დარბაზი. გადმოიტანეს სიონის (თიანეთის) წყალსაცავის ტერიტორიიდან მე-7-8 ს. ტაძარი — თავისი აკლდამით. აიგო სვანური კოშკი და ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობა. კარმიდამოებს შემოევლო ღობეები, გაიყვანეს შუკები და გზები. კუს ტბის მიდამოები ერთ დროს უდაბური, ღვარცოფებით დახრამული და ჯაგნარით დაფარული ფერდობები უკვე თბილისის ერთ-ერთი ულამაზეს ადგილად იქცა. მუზეუმს პირველი მნახველები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის იუბილეზე ეწვევიან. ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი სანახაობა შეემატება.

ამგვარი მუზეუმი კავკასიაში ჯერჯერობით ერთადერთია. თავდაპირველად ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის იდეა შვეციაში ჩაისახა. შემდეგ ის მოეწყო ნორვეგიაში, დანიაში, ფინეთში, ჰოლანდიასა და რუმინეთში, საბჭოთა რესპუბლიკიდან კი — ლატვიასა და ესტონეთში.

ამრიგად, ამ ტიპის მუზეუმები ძირითადად ისეთ ქვეყნებშია გავრცელებული, სადაც რელიეფი შედარებით ნაკლებ დანაწევრებულია, შენობებიც თითქმის მხოლოდ ხისაა, ბუნება და მეურნეობის დარგებიც მაინცდამაინც მრავალფეროვანი არ არის, ამიტომ ამ მუზეუმების გამოცდილების ჩვენში პირდაპირ გადმოღება სასურველ შედეგს არ მოიტანდა. ქართველი მეცნიერები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით თითქმის ყამირი გზით მიდიან. ბევრი სიძნელე ეღობებათ, მაგრამ საქმეს კარგი პირი უჩანს. განზრახულია, საქართველოს ყველა კუთხიდან წარმოდგენილი იქნეს ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ისეთივე სახით და მოცულობით, როგორც ისინი ყოფაში იყო. თითოეულ კუთხისათვის მისი რელიეფის შესაბამისად ცალკე ადგილია შერჩეული.

მუზეუმის ერთ-ერთი და უპირველესი საპატიო ამოცანაა გადაარჩინოს და შთამომავლობას შემოუნახოს ეთნოგრაფიული ძეგლები, რომლებიც სამწუხაროდ დროთა განმავლობაში იღუპებიან. ამ საშვილიშვილო, ეროვნული საქმის დროულად მოგვარებისათვის მუზეუმის თანამშრომლებს მხარში უნდა ამოუდგეს ყველა მოქალაქე და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა. საქართველოში თითქმის არ არის ოჯახი, სადაც ეთნოგრაფიულად საინტერესო ნივთი არ ინახებოდეს. ვინაიდან ამ ნივთების უმეტესობამ დაკარგა ე. წ. „სახმარი ღირებულება“, მათ ან ანადგურებენ, ან ძველმანებს აყოლებენ. მაგალითად, ახლა აღარავის სჭირდება ძველებური ავეჯი, ქართული ტახტები ახალი ნიმუშის ხის საწოლებმა შეცვალა, კიდობნები და სკივრები—კარადებმა და ა. შ. მთლიანად გარდაიქმნა სუფრის, სამზარეულოს, საკუჭნაოს ჭურჭელი და გათბობა-განათების საშუალებანი. სახეს იცვლის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მესაქონლეობისა და მეღვინეობისათვის საჭირო ინვენტარი. ძველებური ტანსაცმელი და საჭურველი ხომ ანტიკვარულ



იშვიათობად იქცა. ჩვენს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია გარდასული დროის ნაგებობანი (ძველებური სახლი, მარანი, საბძელი, ბოსელი, წისქვილი, ზეთსახდელი, არყისსახდელი, დუქანი და სხვ), რომელთა ნაწილი მეცნიერებისათვის უცნობია. გამოვავლინოთ ისინი, მივწეროთ, მივმართოთ რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ მუზეუმებს, მოვახდინოთ მათი შეძლებისდაგვარად აღწერა, ფოტოგადაღება.

გარდა ამისა, ჩავიხედოთ საკუთარი ოჯახის „კედელ-ყურეში“. იქნებ გამოვნახოთ ეთნოგრაფიულად საინტერესო ნივთები. ამით დიდ სამსახურს გავუწევთ, როგორც მუზეუმებს, ისე ქართული ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. კარგი იქნება, თუ ამ მიზნით მოეწყობა პიონერული ლაშქრობები. ეთნოგრაფიული ნივთების მიკვლევა-შეგროვება თავისი მნიშვნელობით არქეოლოგიურ აღმოჩენებზე ნაკლები როდია, პირიქით, უფრო საჩქარო და გადაუდებელია, რადგან ბევრი ექსპონატი უცოდინარობის ან გულგრილობის მსხვერპლი ხდება.

**ლ. ფრუიძე**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.

**პასუხი 1970 წლის № 12-ში მოთავსებულ შეკითხვებზე**

# გელათი

ქუთაისის ახლომდებარე მიდამოებიდან, განსაკუთრებით იმ ადგილებიდან, სადაც ბაგრატის ტაძარია, ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრედისფრად მოჩანს გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი.

ამ დიდებული ტაძრის მშენებლობას, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების შემქმნელის — დავით აღმაშენებლის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფემ 1106 წელს გადაწყვიტა აეშენებინა მონასტერი ყოვლად მშვენიერსა და უნაკლო ადგილზე. ეს ნაგებობა ყველა წინანდელზე უფრო გამოჩენილი უნდა ყოფილიყო თავისი სივრცითა და სიმდიდრითო.

გელათის მონასტრისა და აკადემიის ნაგებობანი 1106 წლიდან მოკიდებული დავით აღმაშენებლის მთელი სიცოცხლის მანძილზე შენდებოდა და მისი დამთავრება, სრულყოფა დავითის მემკვიდრის — დემეტრე პირველის და მის შთამომავალთა ხანაშიც გრძელდებოდა.

იმავე ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელმა გელათში შემოჰკრიბა პატიოსნებითა და სათნოებით აღსავსე, თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანები. საამისოდ იგი, საქართველოს გარდა, უცხოეთშიც ეძებდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. ამასთანავე მან გელათი ქონებრივადაც უზრუნველყო.

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი სწავლულები არსენ კათალიკოსი და იოანე პეტრიწი.

•

სანამ გელათის ნაგებობათა გალავნებში შევაბიჯებდეთ, გარეთაც მრავალი ისტორიული ძეგლის ნაშთს შენიშნავთ. ესენია: ეგრეთ წოდებული სოხასტერის — ბერთა დასაყუდებელი ადგილის — თუ სხვადასხვა წმინდანთა სახელზე აგებული მცირე ეკლესიის ნანგრევები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კონცხზე შემორჩენილი, დიდი ლოდებით ნაგები კოშკის ფრაგმენტები. ეს კოშკი მონასტრის მისადგომების დასაცავად ყოფილა აშენებული.

მონასტრისა და აკადემიის მისადგომები ქვიტკირის გალავნით არის შემოზღუდული. შესასვლელი კარიბჭე მას მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან აქვს, მაგრამ ადრე სამხრეთიდანაც ჰქონია. ეს კარიბჭე ახლა თვით გალავნების ზღუდეშია მოქცეული. ესაა ეკვდერად გადაკეთებული ნაგებობა. მის იატაკზე ერთობ სადა საფლავის ლოდია გაწოლილი, რომელზეც ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა გვაუწყებს: აქ განისვენებსო დავით მეფე (აღმაშენებელი). პირველად გელათში სწორედ იგი დაკრძალეს. მეფე დავითმა შთამომავლობას ანდერძად დაუგდო, გელათი სამეფო საძვალე, ესე იგი ქართველ მეფეთა განსასვენებელი სავანე — პანთეონი ყოფილიყო. ამ ანდერძს ერთგულად მისდევდნენ მისი მემკვიდრენი.

გელათში დაასაფლავეს დემეტრე პირველი, მეფე გიორგი მესამე; როგორც ერთხმად გვაუწყებენ მაშინდელი ისტორიკოსები, გელათში დაუკრძალავთ მეფე თამარიც. აქვე განისვენებს ბევრი სხვა სახელოვანი მამულიშვილი.

გალავანთა შიგნით, ცენტრში აღმართული მთავარი ტაძარი. მისგან აღმოსავლეთით წმინდა გიორგის, ხოლო დასავლეთით — წმინდა ნიკოლოზის სახელობის მცირე ტაძრებია. სწორედ აქვეა ყოფილი აკადემიის შესანიშნავი ნაგებობის ნანგრევებიც. დიდ ტაძარს წყარო ჩამოუდის, რომლის თავზე სამრეკლოა წამომართული.

ძირითადად ასეთია გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

ცხადია, ამ კომპლექსში მთავარი ტაძარი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეულია. იგი ღვთისმშობლის სახელობაზე ყოფილა აგებული.

არქიტექტურულად თანმიმდევრულად მისდევს იმ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს, ადრე რომ გამომუშავდა და სამი უდიდესი ქართული კათედრალის — ბაგრატის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის აგებით დაგვირგვინდა. მაგრამ გელათს, მაინც თავისი განუმეორებელი სახე და მომხიბვლელობა აქვს.

გელათის მთავარი ტაძარი გეგმის მიხედვით ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. მის სწორკუთხედს ოდნავ უცვლის იერს აღმოსავლეთის ფასადზე გამოშვერილი სამი წინწაწეული აფსიდა. ნაგებობის ცენტრში ორ უზარმაზარ ბურჯზე და საკურთხევლის კედლის ორ შვე-

**პასუხები გამოგზავნეს:** საჩხერის 8-წლიანი საშ. სკ. მოსწავლემ ბორის ლომიძემ; თბილისის მე-15 საშ. სკოლის მოსწავლემ ლია ჩუბინიძემ; ამბროლაურის რაიონის ურავის სკოლის მოსწავლემ ნელი რეხვიაშვილმა; საჩხერის რაიონის არგვეთის საშ. სკ. მოსწავლემ ნუნუ ტალახაძემ; ლანჩხუთის რაიონის ლესის საშ. სკ. მოსწავლემ რუსუდან ურუშაძემ; დაბა მახინჯაურის საშ. სკ. მოსწავლემ ლარისა ყურშუბიძემ; სოფ. ნატანების საშ. სკ. მოსწავლემ ფარნავაზ მუჯირმა; ქუთაისის მე-2 საშ. სკ. მოსწავლემ ი. ავალიანმა; ქ. ცხაკაიას მე-3 საშ. სკ. მოსწავლემ ზაირა ლომაიამ; ჭიათურის მე-3 საშ. სკ. მოსწავლემ დარეჯან ჯოხაძემ; ჭიათურის მე-5 საშ. სკ. მოსწავლემ მარინე ტყემალაძემ; გორის 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლემ ქეთო აკოფაშვილმა; გელათის საშ. სკ. მოსწავლემ მერაბ კერზევაძემ; საჩხერის რ. სოფ. მერჯევის მე-7 კლასის მოსწავლემ ლიზა სადუნიშვილმა; თიანეთის მ. გელოვანის სახ. სკოლის მე-9 კლ. მოსწავლემ მარინე მოსიაშვილმა; წალენჯიხის მე-2 საშ. სკოლის მე-5 კლ. მოსწავლემ ნანა კვარაცხელიამ; ქობულეთის საშუალო სკოლის მე-9 კლ. მოსწავლემ ნათელა ჭიხჭარაძემ; გორის რაიონის შაშვების საშუალო სკოლის მოსწავლემ გულო ჯებისაშვილმა.

## იცნობ თუ არა შენს ქვეყანას?



რომელი ძეგლია აქ ფოტოსურათზე გამოსახული, სად მდებარეობს, როდის არის აგებული და რა ისტორიულ მოვლენებთან არის იგი დაკავშირებული?





რილზე დაყრდნობილია საკმაოდ დიდი დიამეტრის მქონე ყელმოღერებული გუმბათი, რომელსაც ირგვლივ თექვსმეტი თაღოვანი სარკმელი ამკობს.

უფრო დიდ ნაგებობას, მაგალითად, ბაგრატის ტაძარს, თერთმეტსარკმლიანი გუმბათი ჰქონია, მაგრამ აქ, გელათში, მთავარი ტაძრის ეს გუმბათი სავსებით ერწყმის მის საერთო ფორმას.

გუმბათის საყრდენ კამარებზეა აგრეთვე დაფუძნებული ნაგებობის შუა ნავის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავთა ნახევრადცილინდრული ფორმის თაღები. ეს თაღები თვალსაჩინოდაა ამაღლებული და ორკალთიანი სახურავით არის გადახურული. ამ მკლავებს შორის მოქცეული ტაძრის ნაწილები კი უფრო დაბალია და ერთკალთიანი სახურავით გადახურული.

შენობა გაერთიანებული, სწორი კედლებით როდია აღმართული. ხსენებულ აფსიდებს გარდა, მას მინაშენებიც, სამი ეგრეთ წოდებული ნარტექსი აქვს. ესენი, ეტყობა, მთავარი კორპუსის დამთავრების შემდეგ მიუშენებიათ, მაგრამ ოსტატებს თავიანთი საქმე კარგად სცოდნიათ, მათ ზუსტად გაუთვალისწინებიათ ტაძრის საერთო ფორმები. ამიტომ მინაშენები კი არ არღვევენ ნაგებობის კომპოზიციის მთლიანობას, არამედ შნოსა და ლაზათს ჰმატებენ მას.

ტაძრის შენობის კედლები დაფარულია დეკორატიული თაღედებით, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ ტაძრის სიმაღლისაკენ სწრაფვის შთაბეჭდილებას. ასეთივე თაღედებითაა დამშვენებული ნარტექსები თუ აფსიდები.

გარდა ამ დეკორატიული თაღედებისა, ტაძარს სხვა სამკაულიც ამშვენებს. მაგალითად, სამხრეთის ფასადი შემკულია მარაოსავით გაშლილი ვარდისებური ორნამენტით, ეგრეთ წოდებული როზეტით.

გელათის მონასტერი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასზე შემორჩენილია მზის საათი, რომელიც კარგ ამინდში ზუსტად უჩვენებდა დროს.

გელათის ტაძარი აგებულია გრანდიოზული თლილი ქვებით.

საზეიმო, ამაღლებულ განწყობილებას ქმნის ტაძრის ინტერიერი ანუ შიდა სივრცე. აქ უხვად ილვრება სინათლის სხივები გუმბათის სარკმლებიდან. შიდა სივრცეს პატრონიკე ამკობს, ღია კამარებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან. ეს პატრონიკე — ქანდარა — თაღოვანი მალებითაა შეერთებული. ზედ ასვლა დასავლეთის კედელში დატანებული კიბეებით შეიძლება.

და მაინც, გელათის მთავარი ტაძრის ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობა კედლის მოზაიკური მხატვრობაა. ამ დიდებულ შენობაში შესვლისთანავე აღმოსავლეთის კედლიდან — საკურთხევლიდან შემოგანათებთ ყრმიანი ღვთისმშობლის და მთავარ-ანგელოზების მიქელისა და გაბრიელის მოზაიკური გამოსახულება. ეს მოზაიკა დაცულია ტაძრის კონქში და მას 1125-1130 წლებით ათარიღებენ.

მსოფლიოს მრავალ ქრისტიანულ ტაძარში მოზაიკური მხატვრობის არა ერთი ნიმუში გვხვდება. მაგრამ ხელოვნების ისტორიკოსები თვლიან, რომ გელათის მოზაიკური მხატვრობა თვალსაჩინოდ განსხვავდება ბიზანტიური თუ სხვა ქვეყნების ანალოგიური ძეგლებისაგან. იგი კონქის მხატვრობის ცენტრშია და კედლის ამ ნაწილში დინამიკურობა შეაქვს. ეს არის ახალი მხატვრული ხერხი, რომელიც გელათის მოზაიკის გენიალურმა ოსტატმა გამოიყენა და საქართველოში იგი პირველად დავით აღმაშენებლისა და დემეტრე პირველის ეპოქაში გვხვდება.

ტაძრის კედლებზე ბიბლიური სცენები, აგრეთვე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა და გელათის ტაძარზე მზრუნველ პიროვნებათა სახეებია დახატული. ჩრდილოეთის კედელზე განლაგებული სურათების მწკრივის ცენტრში დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებაა. იგი გვიანდელი ხანისაა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ სურათი აქ ადრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ოჰ, ეს ორთოგრაფია რომ არა...

ბელგიის ქალაქ ბრიუგეს ზოოპარკის დირექციამ მემანქანეთა ბიუროს შტატში ჩარიცხა... შიმპანზე ჯიმი. ახალი სამუშაო ჯიმის ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით კი ის ათწუთიანი შესვენება, რომელიც მემანქანეებს ყოველ საათში ეძლევათ. ოღონდ უბედურება ის არის, რომ შიმპანზე შესვენების დამთავრების შემდეგაც კვლავ განაგრძობს მხიარულებასა და მანჭვა-გრეხას.

შესაძლოა, ჯიმი უფრო ბეჯითად მოჰკიდებოდა სამუშაოს, ეს ჯოჯოხეთური ორთოგრაფია რომ არა. ადამიანებმა იმდენი სიტყვა გამოიგონეს, რომ, მოდი და დაიხსომე, როგორ იწერება ყოველი მათგანი...

### მთაზე თუ მთის ძირას?

დედამიწის ზურგზე რამდენიმე სახის პოლიცია არსებობს: ქალაქში წესრიგის დამცველი, სისხლის სამართლის, მდინარის, ტრანსპორტის, სოფლის, ზნეობის დამცველი პოლიცია. ავსტრიის ხელისუფალნი აპირებენ კიდევ ერთი — საგანგებო პოლიცია შექმნან სათხილამურო ტრასებსა და მთებზე სათანადო წესრიგის დასამყარებლად. საქმე ის არის, რომ მარტო 1968 წელს თოვლის ტრასებზე 84 ათასი უბედური შემთხვევა მოხდა — ორჯერ მეტი, ვიდრე საგზაო ავარიები და კატასტროფები. პოლიციის კომისრებს ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ, სად აჯობს წესრიგის დამცველის დაყენება — მთაზე თუ მთის ძირას.



### გაიარეთ ხეში!

„გაიარეთ ხეში!“ — ასეთი წარწერაა მექსიკის სოფელ ტულის მახლობლად მდგარ საგზაო ნიშანზე. საქმე ის არის, რომ გზა ტკეცილი აქ ერთ უზარმაზარ საკვოიაში გადის. ეს ხე სამი ათასი წლისაა და მისი ღეროს გარეშემოწერილობა ორმოც მეტრს აღწევს.

ხეში გაჭრილ გვირაბში არა მარტო მსუბუქი ავტომანქანები, დიდი ავტობუსებიც კი თავისუფლად მიჰქრიან.

### იმათთვის, ხოჭოც რომ არ უნახავთ...

ტოკიოდან 40 კილომეტრის დაშორებით, ზოოპარკ ტამაში შენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი ინსექტარიუმი (სპეციალური სათავსი, სადაც ინახავენ და ამრავლებენ მწერებს მეცნიერული დაკვირვებისათვის). ამას საგანგებოდ იაპონელი ბავშვებისათვის აკეთებენ, რომელთაგან ბევრს ჩვეულებრივი ხოჭოც კი არ უნახავს. ინსექტარიუმში მოამრავლებენ 1500-მდე სხვადასხვა სახეობის მწერებს. აქ აშენებენ პავილიონს ციცინათელებისათვის, ფერმას კუტკალიების გამოსაყვანად, პავილიონს პეპლებისათვის და სხვ.

### ყველაზე ნორჩი რეკორდსმენი

მიუნხენის საცურაო აუზში შეჯიბრების შემდეგ გამარჯვებულის გვარი და სახელი — იოჰანეს ლაიმანი რომ გამოაცხადეს, მედლის მისაღებად მსაჯთა მაგიდისაკენ დე·



ვე უნდა ყოფილიყო. მერე გახუნებულა და განუახლებიათ.

აქვე არიან გამოსახული ბაგრატ III, კათალიკოსი ევდემონი, ტაძრის განმაახლებელი, და სხვები. სამხრეთის გუმბათქვეშ ზაქარია ეპისკოპოსის სურათი მიუხატავთ. იქვე შემორჩენილი წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძარი XVI საუკუნეში ხელახლა მოუხატავთ.

ტაძრის მთავარი კორპუსის, მინაშენთა და მცირე ტაძრების კედლებში სხვადასხვა ეპოქის მხატვრობის ბევრი ფრაგმენტი გვხვდება. მათ შორის აღსანიშნავია სამხრეთით მდებარე ეკვდერში შემორჩენილი მეფე დავით ნარინის ორი პორტრეტი; ერთში იგი საერო ტანისამოსით არის წარმოდგენილი, მეორეში — ბერის სამოსით.

როგორც ვთქვით, გელათის ნაგებობათა შენება-განახლება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ განთქმული აკადემიის შენობა დავით აღმაშენებლის დროს აიგო და მეცნიერების კერადაც მის დროს აკურთხეს. ეს ნაგებობა ახლა დანგრეულია, მაგრამ მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა ჩვეულებრივი მნახველისთვისაც არ არის ძნელი. ეს იყო საკმაოდ დიდი მოცულობის შენობა, ფართო, თაღოვანი სარკმლებით გაჩახჩახებული. მთავარი შესასვლელი მას თავდაპირველად აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონია. აქ სამი შესასვლელის ნაშთია, რომელთაგან ერთი ამჟამად ამოშენებულია. შუათანა კართან XIV საუკუნის დასაწყისში მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. აკადემიის შენობას ერთი შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაც ჰქონია. შიგნით მსმენელთათვის განკუთვნილი ქვის მერხები ყოფილა განლაგებული. მეცადინეობასთან ერთად, გელათის აკადემიაში მეცნიერული პაექრობაც იმართებოდა. სწორედ ამ მიზნით საგანგებოდ აუგიათ სადარბაზო, ტრიუმფალური შესასვლელი და იქვე განიერი სარკმლები გამოუჭრიათ.

როგორც ცნობილია, ჯერ მონღოლებმა, მერე კი სხვა ათასი ჯურის დამპყრობთა შემოსევებმა, ქვეყნის საერთო ეკონომიურ-პოლიტიკურ დაცემასთან ერთად, მისი კულტურული დონეც დააქვეითა. გელათში თავისთავად მოისპო აკადემია. აკადემიის გაუქმების შემდეგ მის შენობაში სატრაპეზო გაუმართავთ. ამიტომ არის, რომ აქ უზარმაზარი ქვევრებია შემორჩენილი.

გელათში ინახებოდა ქართული ოქრომჭედლობისა და ხელოვნების სხვა შესანიშნავი ნიმუშები.

ამჟამად გელათი სახელმწიფო ნაკრძალად არის გამოცხადებული და ისტორიული მუზეუმია.

**დავით ჩაკვეტაძე.**

დამისი გაემართა. თვითონ რეკორდსმენს არ შეეძლო ფეხზე დგომა. იმიტომ კი არა, რომ დაღლილი იყო, არამედ — ძალზე მცირე ასაკის გამო. იმ დღეს, როცა იოჰანესმა რეკორდი დაამყარა (წყალზე 6 წუთსა და 15 წამს გაჩერდა) მას ზუსტად ცხრა თვე შეუსრულდა.

### ცხენის მაშიები

ერთ-ერთ პოლონურ სოფელში — კლიუკში ძველთაგანვე დიდი გასავალი აქვს ცხენის მაშიებს. როგორც ყველა სხვა მაშია, ცხენის მაშიებიც ძალზე მარტივია:



მრგვალ ფიცარზე შესაკრავი თასმებია დამაგრებული, ეს არის და ეს. მართალია, ეს მაშიები გარეგნულად მაინცდამაინც კოხტა ვერ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, მათი წყალობით ცხენი ჭანჭყობშიც კი არ ჩაიფლობა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ცხენები ისე შეეჩვივნენ ამ ფეხსაცმელს, რომ უიმისოდ არაფრის გულისთვის არ გაადგამენ ფეხს შინიდან.

## საოცარი ამბავი

### ასფალტის ტბა

დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ადგილას ვიყავი — კუნძულ ტრინიდადის ასფალტის ტბაზე ვიდექი.

დაფუსფუსებდნენ ამ უზარმაზარ „გრამაფონის ფირფიტაზე“, შავკანიანი მუშები და წერაქვებით ზოდებად თხრიდნენ ასფალტს. მერე იმ ზოდებს თავზე იდებდნენ, მიჰქონდათ, ურიკებში ჰყრიდნენ და ქარხნისაკენ მიაგორებდნენ. იქ ასფალტს დიდ ჩანებში ადუღებდნენ, აცლიდნენ წყალს, კასრებში ასხამდნენ და საექსპორტოდ აგზავნიდნენ. ამ ტბის მეშვეობით ტრინიდადი მსოფლიოში ასფალტის ერთ-ერთ უმდიდრეს მიმწოდებლად გადაიქცა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ტბა თითქოს ამოუწურავია. კარგა ხანია, მას დაუზოგავად ძარცვავენ. ამოღებულია და გატანილი ათ მილიონ ტონაზე მეტი ასფალტი, ტბის დონე კი თითქმის არ დაწეულა. ამოჭრილი ადგილი დაუყოვნებლივ იკრავს პირს — ივსება ახალი ასფალტით.

ამ ბუნებრივი რეზერვუარის სიღრმის თაობაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ მარჩიელობენ. ას მეტრამდე გაბურღეს კიდეც, მაგრამ ფსკერს ვერ ჩააღწიეს. გეოლოგები ამტკიცებენ, ასფალტის მარაგი თავისთავად ივსება და თანაც, ახალი ძველს სჯობსო. როგორც ჩანსო, ამბობენ, ნავთი და გაზი თიხაში ირევა და ბუნებრივ რეზერვუარში — ჩამქრალი ვულკანის კრატერში გროვდებაო.

1922 წელს იქ საოცარი ამბავი მომხდარა. ასფალტიდან მოულოდნელად უზარმაზარ ხეს ამოუყვია თავი და იდგა თურმე ქვესკნელიდან მოსული სტუმარი ერთხანს, მერე ნელნელა გვერდზე გადახრილა და ჩაკარგულა. მუშებს ხის გადაჭრა მოუსწრიათ. ხის მერქანი საოცრად კარგად ყოფილა შენახული — სულ ახლადამოსულს ჰგავდა თურმე, ისე კი დადგინდა, რომ ხე, ხუთი ათასი წლისა ყოფილა.

ჟურნალი „ზნანიე სილა“.



## მათთვის, რომ დაეჯერებინათ

არა თუ ჩვეულებრივი მოკვდავნი, არამედ თვით თავისი დროის გამოჩენილი ადამიანებიც კი, ხშირად საოცარ უიმედობას გამოთქვამდნენ და გამოთქვამენ ხოლმე ამა თუ იმ ახალი აღმოჩენისა თუ ცოცხალი აზრის მიმართ. დააკვირდით აქ გამოთქმულ მოსაზრებებს და მიხვდებით, მათთვის რომ დაეჯერებინათ, დღეს ადამიანი ვერც დენს გაიყენებდა შორ მანძილზე, ვერც ცაში იფრენდა და არც ცეცხლმსროლელი იარაღი გვექნებოდა.

**„...არავითარი აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, რომ დიდი ძაბვის დენს, ისევე, როგორც ცვალებად დენს ადამიანი გამოიყენებს. ერთადერთი მიზანი რისთვისაც მათი გამოყენება შეიძლება, ესაა სპილენძის მავთულებისა და სამრეწველო დანადგარების თვითღირებულების შემცირება“.**

თ. ა. ედისონი. „ელექტროგანათების საშიშროება“. 1889 წ.

**„...ვიმედოვნებთ, რომ პროფესორი ლენგალი ამიერიდან აღარ დახარჯავს თავის დიდ და საჭირო ნიჭს, ფულსა და დროს ჰაერში აფრენისათვის. სიცოცხლე მოკლეა და მას კაცობრიობისათვის გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ამ უაზრო ცდებით აკეთებს...“**

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ სარედაქციო სტატიიდან. 1903 წლის დეკემბერი (ძმები რაიტების გაფრენამდე ერთი კვირით ადრე).

**„ისარი ძალზე უბრალო და საიმედო იარაღია, ცეცხლმსროლელი იარაღი კი — რთული. ცეცხლმსროლელი იარაღი ძალიან მალე გამოდის მწყობრიდან, დიდია, მძიმეა და ლაშქრობისას ჯარისკაცს მალე ღლის. თუ მოისარი ერთ წუთში ექვსჯერ ახერხებს დამიზნებასა და სროლას, მუშკეტერი ორ წუთში ერთ გასროლას ასწრებს...“**

პოლკოვნიკი ჯონ სმიტი, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო საბჭოსადმი გაგზავნილ პატაკიდან. 1591 წ.

# გამოგადგები

სათვალის ჩარჩოს თუ ხრახნი მოერყა, ხრახნის თავსა და ბოლოს სინთეტიკური წებო დააწვეთე, ხრახნი კარგად გამაგრდება და ბუდიდან თავის ნებაზე ვეღარ ამოხტება.

თუ ხის ორი დეტალის შემაერთებელი ხრახნი მოირყა და ჩახრახნის დროს კედელზე კბილს ვერ იკიდებს, ნახვრეტში ასანთის ერთი ან რამდენიმე ღერი დაუტანე და ისე ჩახრახნე.

ხერხეში ქაღალდით როცა რაიმე პატარა საგანს აპრიალებ, შეიძლება თითები დაიზიანო. ამიტომ ქაღალდი ხის პატარა ნაჭერს გადააკარი და საგანი ისე გახეხე.

ბოთლში ჩასხმული მანქანის ზეთის ან საღებავის ხშირი ხმარებისას, სითხე, ჩვეულებრივ, ბოთლს გარედან ჩამოჰყვება ხოლმე, ხელსაც გისვრის და ირგვლივაც ითითხნება ყველაფერი. ჩამოაცვი ბოთლს ყელზე მუყაოს ან პენოპლასტის რგოლი და ამ უხერხულობას იოლად აიცილებ თავიდან.



აბა რომელი თქვენგანი მიხვდება, ამგვარად გამოიყენოს სარეცხისათვის ძაფის კოჭი, სცადეთ.










## საძიებელი

ცისკრელები არტეკში (დღიურები) . 1
პრილეჟაევა მ. — უცნაური თავშესაფარი (მოთხრობა) . . . . . . . . . . . 4
ჩაჩანიძე რ. — ოთხასმეცხრე კვადრატი (ფანტასტიკური მოთხრობა, გაგრძელება) . . 7
ქიქინაძე ლ. — არნო ონელი (დაბადების 70 წლისთავი) . . . . . . . . . 14
ჩვენთან სტუმრად არის „პიონერია“ . . . . . . . . . . . 15
ახალი წიგნები . . . . . . . . . 24
ნემსაძე ა. — თუთა (წერილი) . . . . . . 25
ფრუიძე ლ. — მუზეუმი ცისქვეშ (წერილი) . . . . . . . . . . 26
ჩაკვეტაძე დ. — გელათი (წერილი) . . . . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
საინტერესო თემაზე . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი ზ. მეძმარიაშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/II-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-71 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90⅛. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 536. ტირ. 124.065. უე 01964.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. ქიმიური ელემენტი; 2. სამკურნალო მცენარე; 4. მწვერვალი კავკასიონზე; 6. წარწერა, რომელიც გვაუწყებს საწარმოს ან დაწესებულების სახელწოდებას; 7. მდინარე აზიაში; 9. საოჯახო ჭურჭელი; 10. ჭინჭრისებრი ოჯახის მცენარე; 11. მდინარე საქართველოში; 15. საბრძოლო იარაღი; 17. წყლული ანუ?.. 19. მარცვლის ასაწყავი ჭურჭელი; 20. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 22. მდინარე დასავლეთ ევროპაში.

ვერტიკალურად: 1. ინდონეზიის კუნძული; 3. გარეული ფრინველი; 5. საბერძნეთი ანუ? 7. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 8. ქალაქი სსრკ-ში; 9. მონათა დიდი აჯანყების მეთაური; 12. ყვავილი; 13. ნაცვალსახელი; 14. გარეული ცხოველი; 15. მუსიკალური ბგერა; 16. ქალაქი დასავლეთ გერმანიაში; 18. სახელმწიფო ევროპაში; 19. ერთნაირი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 21. შორისდებული; 22. საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად. 23. აზოტისა და წყალბადის ნაერთი.





მანანა სალლიანი,
მესტიის სკოლა-ინტერნატის VII კლასის მოსწავლე.

## შარადა

შინაური ცხოველია,
კარგად იცნობს ყველა,
შარადისთვის დაგჭირდება
მისი წინა ბგერა.
მერე კიდევ, ალისფერად
რა ფრიალებს, მითხარ!
დაუფიქრდი და სასწრაფოდ
უპასუხე კითხვას.
შეაერთე ახლა,
ჩამოთვლილი რიგით,
და სასწავლო ნივთად
გადიქცევა იგი.

ვლადიმერ ზარიძე,
გურჯაანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## რა გაუტყდათ?

იყო თორმეტ-თორმეტი თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ქილა, ფუჟერი (მაღალფეხიანი ჭიქა), სირჩა (რუმკა), ჭიქა. ზოგი მათგანი ბავშვებს გაუტყდათ გარეცხვისას. აბა, თუ მიხვდებით რა გაუტყდათ?



## რამდენ წუთში დაეწევა?

უფროსი ძმა სკოლაში მისვლას 30 წუთს ანდომებს, უმცროსი კი 40-ს. რამდენ წუთში დაეწევა უფროსი ძმა უმცროსს, თუ შინიდან 5 წუთით გვიან გამოვა?

## შარადა

მწყემსის მეორე სახელს
თუ გაიხსენებ ახლა,
იმ მარცვალს დაიტოვებ,
რომელიც თავში ახლავს;
მერე მდინარეს უხმე,
უყვარს ტალღების ჩქერა,
სვანეთის მთიდან მოჰქუხს,
უცებ მიხვდები, მჯერა,
ვიდრე დაურთავ პირველს,
მოსხლიტე წინა ბგერა, —
სმენას დაგიტკბობს ქართულ
საკრავის სიმთა ჟღერა.

შოთა ამირანაშვილი.

## პასუხი № 3-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### სახუმარო გამოცანა

საათის ციფერბლატზე 19 საათის იქით გადათვალე 20 საათი და მიიღებ მეორე დღის 15 საათს.

### კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. აისი; 3. აკვანი; 4. ელეგია; 6. ნიანგი; 7. ინდიგო; 9. ჯიქი; 10. აიდა; 12. ბია; 13. გია; 15. ალტაი; 16. დანია; 18. ინა; 20. არიკა; 23. არა; 24. იგი; 25. საარი; 27 ინდი; 29. ბონი; 30 ალმასი; 32. კაკალი; 33. ირტიში; 34. პარანა; 35. იორი;

ვერტიკალურად: 1. აკაკი; 2. ირანი; 3. ატამი; 5. არმია; 6. ნარვა; 8. ობობა; 9. ჯალალედინი; 11. არაყიშვილი; 12. ბორი; 13. გალილეი; 14. ალაზანი; 15. ავრორა; 17. არშინი; 19. არია; 21. კრეტა; 22. ია; 26. ატოლი; 28. ისანი; 29. ბალბა; 31. ირემი; 32. კაუაი.

6129/73

ИНДЕКС 76157



გაზაფხული. ო. კორუნა. IV კლასი.

უკრაინელ
ბავშვთა
ნახატები.



ოჯახი.
ვ. ვოლოშჩენკო.
VI კლასი.



დნობა. კ. სტოლიარჩუკი. 1. წლის.



პოლონინა. ვ. ვეგეში.
VII კლასი.